პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 6 მარტი, 1949 წ. № 45 (8848). ფასი 20 კაპ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიუღ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს უფრო მტკიცედ და გაბედულად დააწინაურონ ქალები ხელმძღვანელ სახელმწიფოებრივ, პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ სამუშაოზე, მოეკიდონ ყურადღებიანად იქონიონ, რომ ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების დაწინაურება სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანას წარმოადგენს.

(საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან)

მეხილეობის შემდგომი აღმავლობისათვის

მეხილეობას ჩვენში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მაგრამ მისი ნამდვილი აღმავლობა და აყვავება მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში მოხდა. სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მეხილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებისათვის, კოლმეურნეობათა შემდგომი გაძლიერების, განმტკიცებისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მეხილეობის განვითარებას.

საქართველო განსაკუთრებით მდიდარია ხეხილით. მარტო თესლოვანი ხეხილის ჯიშები ჩვენში ასობით დითვლება, ხოლო ხეხილის ბაღების რაოდენობა, მთლიან ნარგავებად რომ ვიანგარიშოთ, 86 ათას ჰექტარს აღწევს. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საფუძველზე ჩვენ საქართველოს მეხილეობა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. მეხილეობის დიდი ოსტატის ივ. მიჩურინის მიღწევათა გამოყენებით, ყინვის ამტანი ჯიშების სპეციალური სანერგეების მოწყობით მეხილეობა ვითარდება რესპუბლიკის ყველა რაიონში, თან შორის მაღალმთიან და სუსხიან ყაზბეგშიც, ზემო სვანეთში, ახალქალაქში, წალკაში. ბოგდანოვკაში და სხვ. საქართველოში ყოველწლიურად შენდება ხეხილის ახალი ბაღები, ფართოდ ინერგება ძვირფასი შმობლიური ჯიშები: ქართული სინაპი, რენეტი, კეხური, თურაშაული, ანილაური, ყინულა, ნაცარა ვაშლი, კახური გულაბი, ნიდისთავური ატამი და მრავალი სხვ.

ჩვენში ყოველწლიურად მრავლდება ხილის უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები. გამოიზრდიენ მეხილეობის სპეციალისტთა ახალი კადრები, გაუმჯობესდა კოლმეურნეობათა აგროტექნიკური მომსახურება. მოწონავე, გაუმჯობესებულ ღონისძიებათა დანერგვით ახლა ჩვენში ზხრაად ჰექტარზე 50-100 ცენტნერი და მეტი ხილი მოჰყავთ. გორის რაიონის სოფელ ქვემის კოლმეურნეობის მერგოლურმა სიკო ცაციაშვილმა 10 ჰექტარი ბაღის ყოველ ჰექტარზე უზრუნველყო 94 ცენტნერი ხილის მიღება, პირადად მიჩენილ ერთ ჰექტარზე კი 400 ცენტნერი ვაშლი მოკრიფა. მეხილეობის განვითარებით ბევრი რაიონის კოლმეურნეობაში დიდად გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი საკოლმეურნეო და საკარმიდამო ბაღებიდან.

შარშან საქართველოს კოლმეურნეობებმა ყველა კულტურის კარგი მოსავალი მოიყვანეს, მაგრამ ამასთან ბევრად უფრო დიდი ამოცანებია დასახული. მთელი ჩვენი ქვეყნის ღონისძიებანი ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ მივაღწიოთ სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მეტ სიუხვეს. მთავარია სასოფლო-სამეურნეო გეგმები წარმატებით შესრულდეს ყველა რაიონში, ყველა კოლმეურნეობაში, ბრიგადაში, რგოლში. ჩვენ ვიცით, რომ მოწინავე რაიონებშიც კი არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი, ბრიგადები. მაგალითად, გორის რაიონი მეხილეობის მხრივ მოწინავეა. მაგრამ ამ რაიონშიც არიან ისეთი კოლმეურნეობანი, სადაც ნაკლებად უყვნიან ბაღებს, დროზე და წესიერად არ ამუშავებენ ნიადაგს, არ შეიჭრეთ სასუქი, არ სხლავენ, არ ებრძვიან მავნებლებსა და ავადმყოფობას. ამის შედეგია, მაგალითად, ის, რომ შარშან ზეიდულეთის, პატარა ხურვალეთის, ფხვენისის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში ხეხილის ბაღების მოსავლიანობა ჰექტარზე 3-10 ცენტნერს არ აღემატებოდა. ასგავსი ფაქტები წელს აღარ უნდა განმეორდეს.

ჩვენი მეხილეები ამთავითვე უნდა შეუდგნენ ხეხილის ბაღები მიმდინარე წლის სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვად შესრულებას. დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას. საჭიროა განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ მეხილეობის ბრიგადები და რგოლები. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა, სოფლის მეურნეობის მუშაკები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ მებაღეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლას. ყოველივეს უნდა გვახსოვდეს ქართველი ხალხის საამაყო ძველის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითება:

„მაქსიმალური ყურადღება მივაქციოთ საქართველოში მეხილეობის განვითარებას, ფართობთა გადიდებას, ჯიშიანობის გაუმჯობესებას და მოსავლიანობის ამაღლებას უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარიდამო მიწებზე... ჩვენ იმას უნდა მივაღწიოთ, რომ ჩვენი ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, გარგარი, ბალი, ალუბალი, კომში, ბროწეული, ლეღვი, ნუში, ალუჩა და სხვ. საუკეთესო იყოს საბჭოთა კავშირში“.

საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის რეზოლუციაში ამხანაგ კ. ნარკვანის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია: „ყრილობა აფიქრებს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ ხეხილის ბაღების მოვლის ძირეული გაუმჯობესება და მათი მოსავლიანობის გადიდება პირველ რიგში ქართლისა და მესხეთის სამრეწველო მეხილეობის რაიონებში“.

სოფლის კომუნისტები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას მეხილეობაში ახალი აღმავლობისათვის. კომუნისტი არ შეიძლება ურიგებოდეს ნაკლოვანებებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ განსაკუთრებით მიაპყრეს ყურადღება ხეხილის ბაღებში ორგანული სასუქების შეტანას, ხის მავნებელთა ზამთრის ბუდეების მოშორებასა და დაწვას, ნიადაგის დამუშავებას და ხეების წამლობას, მავნებელთა კერების მოსპობას. ამ სამუშაოთა დაჩქარება წელს ხილის უხვი მოსავლის მიღების აუცილებელი საწინდარია.

ჩვენი გაზეთის 4 მარტის ნომერში დაიბეჭდა გორის რაიონის ეფიალე კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტების მიმართვა საქართველოს სსრ ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის მუშისა და სპეციალისტისადმი.

გორელი მეხილე კოლმეურნეები გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად, კისრულობენ გაამენონ ხეხილის ახალი ბაღები, გაუმჯობესონ არსებული ნარგავების მოვლა, გადიდონ მოსავლიანობა, მოგვიწოდებენ ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, გავაჩაღოთ მუშაობა წელს მეხილეობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ერთსულოვნად დავუჭიროთ მხარი გორელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას, ვიესტროთ ახალი ვალდებულებანი და გავეჩაღოთ მუშაობა მათი შესრულებისათვის, მოვიწიოთ წელს ხილის უხვი მოსავალი!

ი. ბ. სტალინმა მიიღო კორეის მთავრობის დელეგაცია

5 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბ-ნი კიმ ირ სენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პაკ ხენ ენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ხონ მენ ხი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი ტენ დიუნ თხიაკი, ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ტიან სი უ, განათლების მინისტრი ბ-ნი პიაკ ნამ უნი და კავშირგაბმულობის მინისტრი ბ-ნი კიმ დენ დიუ.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის ელჩი კორეაში ტ. ფ. შტიკოვი და კორეის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი დიუ ენ ხა. (საკდესი).

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. ა. გალაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით სამხრეთ-ოსეთის სომეხრისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბორის ალექსანდრეს-ძე **გალაევი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი, 1949 წლის 5 მარტი.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

ამერიკაკასიის რკინიგზის სამეურნეო აქტივის კრება, მიძღვნილი 1948 წლის გზის მუშაობის შედეგებისა და 1949 წლის ამოცანებისადმი, მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ჩვენს შშობლიურ მამასა და მასწავლებელს, რკინიგზელთა საუკეთესო მეგობარს!

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს ომისშემდგომი ხუთწლედის თქვენ მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, განუხრელად მიდის წინ, კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

საბჭოთა რკინიგზელები ამაყობენ იმით, რომ მათ უკვე ცოტა წელილი როდი შეიტანეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი ძლავრი საშობლოს ძლიერების შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის ბრძოლაში.

1948 წელს რკინიგზის ტრანსპორტის წარმატებითი მუშაობის შედეგად ტვირთბრუნვა საბჭოთა კავშირის გზების ქსელში, 1947 წელთან შედარებით, 27 პროცენტით გადიდდა. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინგზებზე 1948 წელს 19,3 პროცენტით გადიდდა 1947 წლთან შედარებით.

ამიერკავკასიის რკინგზის კოლექტივმა, რკინიგზელთა ერთიან სტალინურ ოჯახში, რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისათვის თქვენი ყოველდღიური მამობრივი მზრუნველობით აღფრთოვანებულმა, გასულ, 1948 წელს სერიოზული საწარმოო წარმატებანი მოიპოვა.

რკინგზაზე ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. გზის საწარმოთა და მშენებლობათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების 75 პროცენტზე მეტი სტახანოველი და დამკვრელია. შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით, მატერიალური და ტექნიკური რესურსების რაციონალურად და მოჭარხნედ ხარჯვით 6.500-ზე მეტმა კაცმა ვადამდე შეასრულა სამი, ოთხი და ხუთი წლის ნორმები.

მუშაობის სტახანოვური, ლენინური მეთოდების ფართოდ გამოყენების, შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების საფუძველზე რკინგზამ გადაჭარბებით შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა. ჩვენ ვამაყობთ იმით, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ღირსეულად შევასრულეთ თქვენთვის მოცემული პირობა.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის დარგში ჩვენ გადავაჭარბეთ ომამდელი, 1940 წლის დონეს 2,9 პროცენტით, ხოლო 1947 წლის დონეს—14,6 პროცენტით. გასულ წელს ნაფთის დატვირთვის გეგმა შესრულებულია 197,8 პროცენტით, მაზნისა — 102 პროცენტით, ხე-ტყის მასალისა — 101,6 პროცენტით, მარცვლეულისა—103,5 პროცენტით, ფქვილისა—119 პროცენტით.

გადმოტვირთვის საშუალო სადღეღამისო გეგმა შესრულებულია 105,4 პროცენტით, რაც, 1947 წელთან შედარებით, შეადგენს 16,8 პროცენტით ზრდას.

ლოკომოტივების ლენინური მოვლა და მოწინავე მემანქანეთა — მძიღეწონიანი ძატარებლების წყვანის ოსტატთა — მუშაობის გაძოცდილების გავრცელების შედეგად ოხვავდი სათბობის ხარჯი შეკამცირეთ 7.933 ტონით და ელექტროენერგიისა — 6 მილიონი კილოვატსაათით. ორთქლმავალთა საშუალო და აწევითი რემონტის გეგმა შესრულებულია 120,5 პროცენტით, ორთქლმავალთა საშუალო გარბენი აწევით რემონტებს შორის 112 პროცენტს შეადგენს.

რკინგზის შეკავშირეთა კოლექტივმა ვადამდე, 25 დეკემბერს, შეასრულა ეკონომების ყველა სახის რემონტის წლიური გეგმა.

1948 წელს რკინიგზამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა სალიანდაგო მეურნეობის მდგომარეობა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ცალკეულ უბნებზე გაგვაძლიერებინა ტექნიკური სიჩქარე.

ამერიკაკასიის რკინგზელებმა მთელი ეს წარმატებანი მოიპოვეს აღგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარების მეოხებით.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჩვენ მტკიცედ გვახსოვს თქვენი ბრძნული მითითებანი — არასოდეს არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით, დაუღალავად ვიაროთ წინ, კომუნიზმის შენებლობაში ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია სერიოზული ნაკლი. ჩვენ არ შეგვისრულებია დავალება ვაგონების მიმოქცევის დარგში, მგზავრთა გადაყვანის გეგმა და გადაზიდვათა თვითღირებულების შემცირება. ამან ის გამოიწვია, რომ რკინგზამ ვერ შეასრულა შემოსავლის გეგმა და აქვს მნიშვნელოვანი ზეგეგმითი ზარალი.

სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს მატარებელთა მოძრაობის უსაშიროების უზრუნველყოფისათვის მუშაობაშიც; ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებანი მგზავრთა მომსახურების საქმეში.

ჩვენს კრებაზე მკაცრად გავაკრიტიკეთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი და დავსახეთ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის აუცილებელი საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებანი. ჩვენ მოგვეთხოვება მუშაობის ხარისხის დაუყოვნებლივი, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება რკინგზის უკლებლივ ყველა რგოლში, სოციალისტური შეჯიბრების უფრო გაჩაღება, მუშაობის მოწინავე, ნოვატორული მეთოდების გაბედულად დანერგვა.

1949 წელს — ომისშემდგომი ხუთწლედის მეოთხე, დამამთავრებელ წელს — ამიერკავკასიის რკინგზის წინაშე დასახულია ახალი დიდი და სერიოზული ამოცანები. რკინგზის ყველა რგოლის მუშაობის აყვანა ამ ამოცანათა დონემდე, წლიური გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ყველა მაჩვენებლის ძიხედვით, ჩვენი წმიდა მოვალეობაა.

ამიერკავკასიის რკინგზის კოლექტივი ყოველთვის ეხმაურებოდა ჩვენი ქვეყნის წყაფუან სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ყველა პატრიოტულ თაოსნობასა და მოწოდებას, სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საერთო სახალხო საქმეში ცოტა შემოქმედებითი, საწარმოო ინიციატივა როდი შეჭონდა.

ამიერკავკასიის რკინიგზელები ფართოდ გამოეხმაურნენ სტალინის სახელობის რკინიგზის საორთქლმავლო მეურნეობის მეთაურების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების პატრიოტულ თაოსნობას.

თბილისის კვანძის რკინიგზელები, აღფრთოვანებულნი რკინიგზის ტრანსპორტისათვის პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, ჩაებნენ საპრივლმაესო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ჩვენი გზის მთელ კოლექტივს მიმართეს მოწოდებით ომისშემდგომი ხუთწლედის მეოთხე, დამამთავრებელი წლის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ. ამ მოწოდებას უკვე დაუჭერეს მხარი ამიერკავკასიის რკინიგზელებმა.

ჩვენი მაგისტრალის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის 103 მოწინავე საწარმოს კოლექტივთა თაოსნობას საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების შესახებ. საბრუნავი სახსრების უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლაში ებმებიან რკინიგზის სულ ახალ-ახალი საწარმონი და ვალდებულებას კისრულობენ სახელმწიფოს გაუთავაესუფლონ მილიონობით მანეთი.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის უდიდესმა გამარჯვებებმა შექმნეს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების პირობები, გვიჩვენეს სახალხო ინიციატივის ანალი უმდიდრესი წყაროები.

თქვენი გენიალური ხელმძღვანელობა, ჩვენი პარტიის ბრძოლი პოლიტიკა მთელი საბჭოთა ხალხისათვის წარმოადგენს ან უდიდესი ძალის შთაგონებელი შემოქმედებითი შრომისა და ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის წყაროს.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჩვენ ჩამოვალეშიც უფრო მეტი სიმტკიცით ვიბრძოლეთ ჩვენი გზის მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ჩვენ სრულყოფთ ტექნიკასა და ტექნოლოგიურ პროცესებს, შრომის ორგანიზაციას, ყოველნაირად დავუჭერთ მხარს ყოველივე ახალს, მოწინავეს, გამოვნახავთ დამატებით რეზერვებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას.

ამიერკავკასიის რკინგზის სამეურნეო აქტივი მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების ძალ მთელი კოლექტივის სახელით შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობს:

1. ვადამდე შეასრულოს 1949 წლის დატვირთვის სახელმწიფო გეგმა.
2. ვაგონის მიმოქცევა, 1948 წელთან შედარებით, დაჩქაროს 9,5 საათით და, 1949 წლის გეგმასთან შედარებით,—2 საათით.
3. თვითღირებულების შემცირებით დაზოგოს 10 მილიონი მანეთი.
4. ორთქლმავლებზე დაზოგოს 3.500 ტონა პირობითი სათბობი და 2 მილიონი კილოვატსაათი ელექტრონერგია.
5. საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებით გათავისუფლოს სულ მცირე 2 მილიონი მანეთი.
6. 1949 წელს იმუშაოს სახელმწიფო დოტაციის მიუღებლად.

ლენინ-სტალინის პარტია, პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ, ყოველთვის და ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდით და აკუთვნებთ რკინიგზის ტრანსპორტს.

თქვენი ინიციატივით რკინიგზის ტრანსპორტზე პოლიტგანყოფილებათა შექმნა რკინიგზის ტრანსპორტის განურჩელი აღმავლობისათვის თქვენი მუდმივი ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინებაა.

ჩვენი გზის რკინიგზელთა მრავალათასიანი არმია, თქვენი ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ აღზრდილი ლენინ-სტალინის პარტიის ბრძოლისა და გამარჯვებათა საბრძოლო ტრადიციებით, სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი, თქვენდამი, ჩვენო შშობლიურო და საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით, ყოველივეს გააკეთებს იმ უმნიშვნელოვანესი და საპატიო ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია ამიერკავკასიის რკინგზის წინაშე, და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იელის წინ, კომუნიზმის ახალი დიადი გამარჯვებებისაკენ.

სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო შშობლიურო და მხურვალედ საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი საყვარელი საშშობლოს სადიდებლად, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს ძმაკაცურ სოციალისტურ საშშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიადი პარტიას — ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საყვარელ მამას, ბრძენ მასწავლებელს, პარტიისა და ხალხის გენიალურ ბელადს—დიდ სტალინს!

წერილი განხილული და ერთსულოვნად მიღებულია ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის კრებაზე 1949 წლის 1 მარტს.

ახალგაზრდობის განვეკა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში

1 მარტს დაიწყო სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში. გაწვეულ იქნება 16-20 წლის ასაკის ათეულათასობით ჭაბუკი და ქალაშვილი. მათ გაგზავნიან სკოლებში, რომლებიც კვალიფიციურ მუშებს ამზადებენ ქვანახშირის, მეტალურგიული, ნავთის მრეწველობისა და მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროში საკდესის კორესპონდენტს განუცხადეს:

ყველა საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მთავრდება ახალი შევსების მიღებისათვის მზადება. წარმოებს საერთო საცხოვრებლების, საკლასო ოთახების რემონტი და კეთილმოწყობა, ახალი მოწყობილობით ავსებენ სახელოსნოებს, ტექნიკურ კაბინეტებს, სასწავლო უბნებს.

ურალისა და ციმბირის საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს 23 ათასზე მეტი ახალი სასწავლო-საწარმოო ადგილი და 28 სახელოსნო ექნებათ მოწოდებულითვის. ყარაგანდის ქვანახშირის მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში შეიქმნა 27 ტექნიკური კაბინეტი და 30 სასწავლო უბანი.

ჩვენი ქვეყნის მეტ წილ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში მთავრდება გაწვევისათვის მზადება. აღნიშნულია, ახალგაზრდობის დიდი ლტოლვა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისაკენ. მოხალისეთგან მიღებულია ასობით განცხადება. (საკდესი).

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირთა X ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ემზადებიან ახალი საწარმოო მიღწევებით შეხვდნენ პროფესიული კავშირების მომავალ X სრულიად საკავშირო ყრილობას. მოსკოვის, ლენინგრადის, დონბასის, ურალისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მოწინავე საწარმოთა კოლექტივები დამატებით კისრულობენ სოციალისტურ ვალდებულებებს, ებმებიან პროფკავშირთა X ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1949 წლის 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ, რომელიც საბჭოთა ადამიანებისათვის სტალინური მზრუნველობის ახალ გამოვლინებას წარმოადგენს, მთელი ჩვენი ხალხი ენთუზიაზმით შეხვდა და, უეჭველია, ეს დადგენილება გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომ აღმავლობას, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას.

სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის მუშაკებმა ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ვალდებულება იკისრეს პროფკავშირთა X ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 250 სატვირთო მანქანა. ავტოქარხნელები ახორციელებენ ღონისძიებებს მოწინავე ტექნიკის დასანერგავად და გადაწყვეტეს დაზოგონ 5 მილიონი მანეთი, უზრუნველყონ გეგმის გადამეტებით შრომის ნაყოფიერების 5 პროცენტით გადიდება და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლება, 1949 წლის პირველ კვარტალში გათავისუფლონ 5 მილიონი მანეთი საბრუნავი საშუალებანი.

ავტოქარხნელთა მაგალითის მიხედვით სტალინის სახელობის მაგნეტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის, დონბასის ტრესტი „რუტენკოვეუგოლის“ შახტების, ვ. ი. ლენინის სახელობის გლუხოვის მაბრეულის კომბინატის, ლენინგრადის კიროვის სახელობის მანქანათმშენებელი და მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებმა ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილებში აგრეთვე დამატებით იკისრეს ვალდებულება პროფკავშირთა X ყრილობის აღსანიშნავად გადაჭარბებით შეასრულონ პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, გადიდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ თვითღირებულება, დაჩქარონ სახსრების ბრუნვა, ვადამდე შეასრულონ საბინაო მშენებლობის გეგმა და გააუმჯობესონ მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები და კულტურული მომსახურება.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა მოწონავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა და მოუწოდა ყველა მუშას, ოსტატს, ინჟინერს, ტექნიკოსს, მოსამსახურეს ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ამ ინიციატივას, უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა პროფკავშირთა X ყრილობას ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ.

პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მასებში და მიაღწიონ იმას, რომ საწარმოს, სამაქროს, უბნის ყოველი კოლექტივი შეჯიბრების აქტიური მონაწილე გახდეს და მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვოს.

პროფკავშირთა ცენტრალურმა და საოლქო კომიტეტებმა სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად უნდა შეიმუშაონ ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, რათა პურუნველყონ სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება და თვითეული საწარმოს რენტაბელური მუშაობა. (საკდესი).

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი

3 მარტს დამთავრდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის სესია. თავმჯდომარეობდა ნ. ს. ტიხონოვი.

პლენარულ სხდომებზე განხილულ იქნა დაახლოებით 400 კანდიდატურა, რომლებიც პრემიების მისაღებად 1948 წელს წამოაყენეს შემოქმედებითმა კავშირებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, სამხატვრო, სამეცნიერო-საკვლევმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფო დაწესებულებებმა. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტიული აქტივის კრებებზე

შუდგა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიული აქტივის კრება. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგებსა და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ქვანიამ.

— საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგ კ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენება, ყრილობის რეზოლუცია და ყრილობის მიერ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილი წერილი უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებია და ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, მთელი ქართველი ხალხის სახელმძღვანელო პროგრამას წარმოადგენს, — აღნიშნა მომხსენებელმა.

დაწერილებით შეეხო რა რაიონის საწარმოების მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, სამარკო ღვინის ქარხნის, საშაქარლამო, კონიაკ-არაყის და ავეჯის ფაბრიკების კოლექტივებმა მეოთხე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს და ამკამად მთელი ენერგიით იბრძვიან ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

— ჩვენს რაიონში,—თქვა შემდეგ ამხ. ქვანიამ,—5 უმაღლესი სასწავლებელი და 14 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტია. კადრების აღზრდისადმი შეუნელებელი ზრუნვა ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის უკეთესად წარმართვით კიდევ უფრო მაღალნაყოფიერი უნდა გახადონ საწარმოთა და სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობა.

ჩვენი რაიონის ბოლშევიკები, ამხანაგ ბერიას მიერ სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მეთაურობით კვლავაც წარმატებით შეასრულებენ ჩვენი მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის ყველა მითითებას,—თქვა დასასრულ ამხ. ქვანიამ.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი შეუდგა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას, — აღნიშნა თავის გამოსვლაში აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. გოგლიძემ.—ფაბრიკამ მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალება და ქვეყანას მისცა 935.400 მეტრი მზა ქსოვილი.

შეეხო რა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების საკითხებს, ამხანაგი გოგლიძე აცხადებს, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. წრეებსა და სკოლებში ზოგიერთი კომუნისტი აცდენს მეცადინეობას. საჭიროა კონტროლისა და დახმარების გაძლიერება დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ბახტაძემ ილაპარაკა ახალგაზრდა კადრების მომზადების საკითხებზე. ზოგიერთი ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ეხმარება პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს, სუსტად არის დაყენებული საკისლუტაციო მუშაობა და, რაც მთავარია, არ ხდება დადგენილებათა შესრულების შემოწმება.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ჩაგელიშვილი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ატარებს ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია მიჩურინული მატერიალისტური ბიოლოგიის დანერგვისათვის, როგორ იბრძვის იგი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

სიტყვებით გამოვიდნენ ავრეთვე ვ. გურბელაძე (შრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ნ. ცოფია (ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი) და სხვები, სულ 9 კაცი.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დადგენილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია.

* * *

გორის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგებისა და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოისმინა პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. ი. ყუჯიაშვილის მოხსენება.

როგორც აქტივის კრებამ აღნიშნა, რაიონმა მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა მრეწველობის დარგშიც და სოფლის მეურნეობის დარგშიც. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებში სათესი ფართობები გაიზარდა 3.068 ჰექტარით. შარშან, წინა წელთან შედარებით, კოლმეურნეობებში მარცვლეულის მოსავლიანობა 145 პროცენტით გადიდდა, აქედან სამინდის მოსავალი — 187 პროცენტით. ამასთანავე კრებაზე აღინიშნა, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მტსებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების არასაკმაო მუშაობის გამო სამინდის მთესველი 109 კოლმეურნეობიდან მეტად მცირე მოსავალი მოიყვანა 19-მა კოლმეურნეობამ. წლიდან წლამდე სამარცხვინოდ ჩამორჩებიან სოფელ ფხვნისის კოლმეურნეობა „მნათობი", საქაშათის კოლმეურნეობა „შრომა", ყელქცეულის კოლმეურნეობა „სიმართლე" და შინდისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. რაიონის 158 კოლმეურნეობიდან თესლბრუნვა შემოღებულია 104 კოლმეურნეობაში. არის თესლბრუნვის წესების დამახინჯების ფაქტებიც. ნაკლები ყურადღება ექცევა მევენახეობის შემდგომ განვითარებას; გასულ წელს ახალი ვენახები გაშენდა მხოლოდ 53 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 126 ჰექტარისა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. შ. ბიბილაშვილი, დ. საამიშვილი, რ. ჯაფიაშვილი, ა. ტატიშვილი, ლ. დოიჯაშვილი, ნ. ჩუბინიშვილი, ნ. ხუბულაშვილი და რ. ნინოძე. აღნიშნეს რა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, მათ წამოაყენეს პრაქტიკული წინადადებანი ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად, მომდინარე წლის ამოცანების გადასაჭრელად.

ყველა მშრომელის დარაზმვით მიეგებოთ გარდატეხას ქალაქ გორის კეთილმოწყობის, გორის საფეიქრო კომბინატის მშენებლობის საქმეში, მოკლედადეში ჩავატაროთ მარცვლეულის თესვა 15.000 ჰექტარზე, შაქრის ჭარხლის თესვა 1.200 ჰექტარზე, განვავითაროთ მეხილეობა და მევენახეობა, უფრო კონკრეტულად დავეხმაროთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, რათა მივაღწიოთ უხვი მოსავლის, მასობრივად მიღებას—აი რაზე ლაპარაკობდნენ კამათში გამოსული ამხანაგები.

აქტივის კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

* * *

შუდგა ჭიათურის საქალაქო პარტიული აქტივის კრება. კრებაზე საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. პეტრიაშვილმა.

მომხსენებელმა აქტივის ყურადღება განსაკუთრებით შეაჩერა იმ ამოცანებზე, რომლებიც ყრილობამ და პირადად ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა ჭიათურელი მაღაროელებისა და მათი მოწონაე რაზმის — მარგანეცის ქალაქის ბოლშევიკების წინაშე დასახეს.

მარგანეცის მრეწველობა წარმოადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს და წამყვან დარგს. მისი ხვედრითი წონა ფრიად მნიშვნელოვანია. მარგანეცის ამოღება სულ უფრო მეტად უნდა გადიდდეს. ამისათვის აუცილებელია მექანიზმების ფართოდ გამოყენება, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მაღაროებში ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისება, მაგრამ ჯერჯერობით ამ მნიშვნელოვან საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. ისეთ დიდ მაღაროში, როგორც ტალინის სახელობის მაღაროა, მექანიზმებით მუშაობის ფართო შესაძლებლობა გვაქვს. მაგრამ აქ სამწუხაროდ, ან სრულიად არ იყენებენ მექანიზმებს, ანდა მათი წარმადობა ძალიან დაბალია. აღსანიშნავია, რომ სტალინის სახელობის მაღარო გამონაკლისს როდი წარმოადგენს.

ნაკლები ყურადღება ექცევა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. ამის შედეგია მუშახელის დენადობა. საჭიროა გავაძლიერთ ზრუნვა მუშათა ბინების კეთილმოწყობის, კვებისა და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მეტი ყურადღება უნდა მიექციოს მუშათა ტექნიკური წვრთნების, რაციონალიზაციის, გამოგონებლობის, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის საკითხებს.

მომხსენებელი ანალიზს უკეთებს მარგანეცის ცენტრალური გამაუჯეფელი ფაბრიკის მშენებლობის გაჭიანურების მიზეზებს. ფაბრიკის მშენებლობის ვადები რამდენჯერმე დაარღვა, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია საშენი მასალების სიმცირით და მეორე მხრივ ფაბრიკის მშენებლობის ხელმძღვანელთა ცუდი მუშაობით. ირღვევა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, მოუგვარებელია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა, — თქვა მომხსენებელმა, — მეტი რესურსები და შესაძლებლობანი გამოვიყენოთ და აუცილებლად უზრუნველყოთ მარგანეცის გამაუჯეფელი ფაბრიკის მშენებლობის ვადაზე დამთავრება.

აქტივის კრებაზე ბევრი ითქვა მარგანეცის ქალაქის კეთილმოწყობაზე, რაც საც სერიოზული ყურადღება მიაქცია ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა. მაღაროელთა უძველესი ქალაქი ჭიათურა ერთ-ერთი სანიმუშო და კეთილმოწყობილი ქალაქი უნდა გახდეს რესპუბლიკაში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. სამხარაძემ, გ. შანიძემ, ვ. თურქაძემ, გ. ეზოიშვილმა, შ. პაქსაშვილმა და სხვ.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია მარგანეცის ქალაქის ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანები.

★

წელსაც მოწინავე ვიქნებით
(ბრიგადირი გ. ყოჩიაშვილი)

ჩვენს კოლმეურნეობას აქვს დიდი შესაძლებლობა აითვისოს ახალი ფართობები და გაადიდოს მარცვლეული კულტურების საქმეტარო მოსავლიანობა.

ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ ჩამორჩენილი არასოდეს ყოფილა და წელს უკეთესად ამუშავებს. ყველა სახის სამუშაოზე ბრიგადის წევრები მთლიანად იქნებიან გამოყენებული. მუშაობისათვის სათანადო პირობებს შევქმნით. დამორებულ ნაკვეთებში დროულად ავაგებთ დროებით საცხოვრებელ ბინებს, იქვე მოვაწყობთ ქვაბს და დავრაზმავთ რეგოლეს იმისათვის, რომ ყველა სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში სრულდებოდეს.

ბრიგადაში არც ერთი ისეთი წევრი არ გვეყოლება, რომელსაც გამომუშავებული არ ექნება შრომადღეების საკვალდებულო მინიმუმი. საუკეთესოდ მოვუფლით სათესლე ნაკვეთებს, რომ ხარისხიანი თესლი მივიღოთ. მტკიცედ დაეიცავთ ხვნისა და თესვის ხარისხს.

წელს ჩვენი მეექვსე ბრიგადის ვალდებულება იქნება საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 24 ცენტნერი ქერი და ხორბალი, 28 ცენტნერი სიმინდი და 21 ცენტნერი მზესუმზრა. ამ ვალდებულებას შევასრულებთ.

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზად ვართ
(ბრიგადირი გ. ნასარაშვილი)

მეხუთე ბრიგადას შარშან ცუდად არ უმუშავია. მაგრამ წელს უკეთესად უნდა მოვაწყოთ შრომა. ბრიგადის წევრები დაინტერესებული არიან მეტი პური, სიმინდი, მზესუმზრა მოიწიონ. ამისათვის პირობას ვდებ შემოდგომის ნათესები დროულად გავმარგლო, მთლიანად „მოვსპო სარეველები და მინდვრის მავნებლები.

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის ბრიგადა მზად არის. განზრახული გვაქვს შევიტანოთ სასუქი ჰექტარზე 20 ტონა მაინც. სათორნ კულტურებს მთლიანად დავთესავთ მზრალად ნახნავზე. ბრიგადის მუშა პირუტყვი ჯანსაღად გვყავს.

ბრიგადა საუკეთესოდ მოუვლის სიმინდსაც—სამჯერ გავთინნინთ, სანიმუშოდ მოვაწყობთ შრომას, უზრუნველყოფთ ყოველ ხუთდღიურში შრომადღეების ჩაწერას კოლმეურნის შრომის წიგნაკში.

ბრიგადა კისრულობს წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 20 ცენტნერი ხორბალი, 25 ცენტნერი ქერი, 28 ცენტნერი სიმინდი მარცვლად და 16 ცენტნერი მზესუმზრა.

ჩვენი ვალდებულება
(მერგოლური პ. ტოკლიკიშვილი)

მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყანაში სასუქების შეტანას. შერჩეულ უნდა იქნას ნაკვეთები, რომლებიც ნაკლებნაყოფიერია. სწორედ იქ უნდა შევიტანოთ სასუქი უხვად. მაგრამ ეს როდი კმარა. საჭიროა ვთესოთ ჯიშობრივად შერჩეული და გაწმენდილი ბარიანობანი თესლი, ყანაში მოვსპოთ მავნებლები და დავიცავთ ნათესები სარეველა ბალახებისაგან.

მე, როგორც რგოლის ხელმძღვანელს, ნათლად მაქვს შეგნებული მოსავლიანობის გადიდებისათვის ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. ყველა სამუშაოს მაღალხარისხოვად ჩავატარებ. კოლმეურნეობის აქტივს და ხელმძღვანელობას პირობას ვაძლევ რგოლისათვის მიჩენილი ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე წელს მივიღო 19 ცენტნერი ხორბალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერისა, 18 ცენტნერი მზესუზრა, ნაცვლად 12 ცენტნერისა, 28 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23 ცენტნერისა, ხოლო ბაზაფხულის ქერი მოვიყვანო ჰექტარზე 15 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა.

★

მოწინავე აგრონომ-ექნიკის გზით
(კოლმეურნეობის აგრონომ-ექნიკოსი ამხ. ვ. ბოსტოლანაშვილი)

გასული წლის პრაქტიკამ ცხადყო, რომ აგროტექნიკური ღონისძიებათა ზუსტად გატარებით ჩვენ შეგვიძლია გავადიდოთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა.

კოლმეურნეობაში გატარებულია ათმინდრიანი თესლბრუნვა. მაგრამ არის თესლბრუნვის გარეშე აუთვისებელი ფართობებიც, რომელთა შემომატებით მარცვლეულის საერთო მოსავალი გაიზრდება. მთავარია ის, რომ ყურადღება მივაქციოთ თესლისათვის მზადებას. თუ დროულად არ მოვამზადეთ თესლი, მუშა პირუტყვი და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, თესვის სამუშაოები გაჭიანურდება და მოსალოდნელია მოსავლიანობის შემცირება.

საჭიროა გულმოდგინედ მოვეპაროთ საშემოდგომო ნათესებს, სრულიად მოვსპოთ მინდვრის მავნებლები, დავფარცხოთ ჯეჯილი დამუხტვამდე. პირადად მე ყოველმხრივ შევეწყობ ხელს კოლმეურნეობაში, თვითეულ ბრიგადასა და რგოლში მოწონაე აგროტექნიკის დანერგვას. სისტემატურ მეთვალყურეობას გავუწევ აგრონომისმიერ ამოცანების განხორციელებას. განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს სათესლე ნაკვეთები.

საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად საჭიროა გამოფიტული ნიადაგები ნაკელი შევიტანოთ ჰექტარზე 20-25 ტონა, დავიცავთ ხვნა-თესვის სიღრმე და ხარისხი. სიმინდი და მზესუმზრა სამჯერ უნდა გავთოხნოთ, დავიცავთ მცენარეთა სიხშირე ინ ანგარიშით, რომ ჰექტარზე შენარჩუნებულ იქნას 35-40 ათასი ძირი.

ვალდებულებას კისრულობ გავაძლიერო აგროტექნიკური სწავლება, განვაზოგადო უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილება და ყოველმხრივ შევეწყო ხელი მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

თათბირის ღონისძიებანი და ვალდებულებანი

მიმდინარე წელს მარცვლეულის ნათესის გაფართოებისა და საერთო მოსავლიანობის გადიდებისათვის კოლმეურნეობის აქტივის თათბირმა საბრძოლო ამოცანად დასახა:

წელს კოლმეურნეობამ დამატებით აითვისოს თესლბრუნვის გარეშე დარჩენილი 250 ჰექტარი; კოლმეურნეობის ნათესი ფართობი 2.159 ჰექტარიდან გაადიდოს 2.408 ჰექტარამდე; საგაზაფხულო ნათესებისათვის გათვალისწინებული 686,5 ჰექტარი დაამუშაოს მოწინავე აგროტექნიკის ათთხოვნათა მიხედვით, ხვნა-თესვაზე ყოველდღიურად ამუშაოს 40 გუთნეული, დღეში მოხნოს 30 ჰექტარი;

მთლიანად მურკოვად დათესოს მარცვლეული, მტკიცედ დაიცვას ხვნის სიღრმე და თესვის ხარისხი, სათესად გამოიყენოს საუკეთესო თესლი, საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურებში შეიტანოს 1.500 ტონა ნაკელი, სიმინდი გათოხნოს 3-4-ჯერ, მზესუმზრა—სამჯერ, ჩაატარონ კულტივაცია; შემოდგომის ნათესი საჭირეობის ძიხედვით გამაბრგლოს, მთლიანად მოსპოს მინდვრის მავნებლები, ჩაატარონ ნათესების ფარცხვა მთელი ფართობის სულ მცირე 60-70 პროცენტზე; მოსავალი აიღოს უდანაკარგოდ; უზრუნველყოს სათოხნი კულტურების მთელი ფართობის 70-80 პროცენტის კოლმეურნეთათვის ინდივიდუალურად შეჩენა;

180 ჰექტარ შემოდგომის ნათეს მალამოსავლიანი ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 25 ცენტნერ ხორბალს, ხოლო დანარჩენ ფართობზე საშუალოდ 18 ცენტნერს, მაღალმოსავლიანი 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 40 ცენტნერ სიმინდს, დანარჩენ ფართობზე — საშუალოდ 25 ცენტნერს; 60 ჰექტარი მზესუმზრის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 20 ცენტნერ მზესუმზრას, დანარჩენ ფართობზე საშუალოდ 15 ცენტნერს.

★

ყრილობა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას უმნიშვნელოვანეს ამოცანად უსახავს უახლოეს 8-10 წლის განმავლობაში მარცვლეული კულტურების (ხორბლის, სიმინდის, ქერის) მოსავლიანობის გადიდებას 30-40 პროცენტით, რათა პირის დამზადება 1948 წელთან შედარებით გადიდდეს ერთიანსამად მაინც და რესპუბლიკის მოსახლეობა ძირითადად უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი პურით. ამ მიზნით უზრუნველყოფილ იქნას თესლბრუნვითი შემოღება და ათვისება, ნიადაგის დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება და ხორბლისა და სიმინდის უხვმოსავლიანი ჯიშების გამოვვანა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მრავალწლიანი ბალახების თესლის მოყვანას და ბალახთესვის გაფართოებას შემოღებულ თესლბრუნვითი შესაბამისად.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის რეზოლუციიდან

* * *

ამ დღეებში შედგა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აქტივის საწარმოო თათბირი. თათბირმა უყურადღება გამახვილა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის კოლმეურნეობის შესაძლებლობისა და რეზერვების გამოვლენების კონკრეტულ ღონისძიებებზე.

ქვემოთ ვბეჭდავთ თათბირის მონაწილეთა ზოგიერთ სიტყვებს და მიღებულ ღონისძიებებს.

★

მთავარია მოსავლიანობის გადიდება
(საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ვ. მირიანაშვილი)

ჩვენს კოლმეურნეებს კარგად ესმით ის ამოცანები, რომლებიც დასახულია საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად. აქ ლაპარაკი იყო კოლმეურნეობის შესაძლებლობასა და რეზერვებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული.

წინა წლებში რაიონი და კერძოდ ეს კოლმეურნეობაც ვერ იღებდა კარგ მოსავალს. ამის ძირითადი მიზეზი ბუნებრივი პირობები როდია, არამედ აგროტექნიკის მოთხოვნათა გაუტარებლობა და ცუდი მუშაობა. უნდა დაგეუფლოთ მოწინავე აგრონომიეულ მეცნიერებას. როგორც ბუნების გარდაქმნელი ი. ვ. მიჩურინი გვასწავლის, ჩვენ ვერ დავეულოდებით ბუნების წყალობას, ჩვენ უნდა გამოვართვათ ბუნებას ეს წყალობა.

რაც შარშან გაკეთდა, წელს ცოტაა. ჩვენს რაიონს პურის ბელეს უწოდებენ, და ეს ასეც არის. ამ კოლმეურნეობას შეუძლია მაგალითი უჩვენოს სხვებს, თუ როგორ შეიძლება გავადიდოთ მოსავლიანობა. წინათ ზოგი არასწორ აზრსაც გამოთქვამდა, თითქოს შირაქის მაწა სიმინდის მოსავალს ვერ მოგვცემდა. მაშინ სიმინდის მოსავალს ჰექტარზე 4-5 ცენტნერს იღებენენ. ამის მიზეზი მიწა კი არ იყო, არამედ ამ კულტურის აგროტექნიკის აუთვისებლობა. ახლა სიმინდის ყანების კარგად დამუშავებით ცალკეული კოლმეურნეები ჰექტარზე 30-55 ცენტნერ მარცვალს იღებენ. ეი ერთი ტიპიური მაგალითი: ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ამხ. ხუციშვილმა შარშან ჰექტარზე 55 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ამ კოლმეურნეობის ცალკეულმა კოლმეურნეებმა 30-35 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

თქვენს კოლმეურნეობას აქვს ნაკელის დიდი მარაგი, რომელსაც წესიერად ვერ იყენებს. შარშან ნაკელი გატანილ იქნა ფართობებში, მაგრამ გაუშლელი დარჩა. წელს სასუქი შეტანილ უნდა იქნას უმთავრესად გამოფიტულ ნიადაგებში. ამ ნიადაგებზე 40-50 წლის განმავლობაში პური ითესებოდა. ახლა სასუქი უნდა შევიტანოთ, რომ კარგი მოსავალი მოგვცეს.

მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ სწორი ნათესბალახიანი თესლბრუნვის გატარებას, შეექმნათ პირობები მრავალწლიანი ბალახების თესვის გადიდებისათვის, მთლიანად ავითვისოთ დღემდე თესლბრუნვის გარეშე დარჩენილი ნაკვეთები, სანიმუშოდ გავატაროთ აგროტექნიკური ღონისძიებანი, და ჩვენ უსათუოდ გვექნება მეტი პური, სიმინდი, მზესუმზრა. ამასთან ერთად საჭიროა სწორად მოვაწყოთ შრომა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილების საფუძველზე.

ეჭვი არ არის, კოლმეურნეობა წელს მოგვცემს იმის საუკეთესო მაგალითს, თუ როგორ შეიძლება გადიდდეს მარცვლეულის მოსავლიანობა.

მორიგი ამოცანები
(კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. მამაიაშვილი)

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის ზრდისა და მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში სამძიღო ამოცანად დაგვისახა 8-10 წლის განმავლობაში მივაღწიოთ მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობის გადიდებას ჰექტარზე 18-20 ცენტნერამდე, რათა რესპუბლიკის მოსახლეობა უზრუნველყოთ ადგილობრივი პურით.

ამ ამოცანის განხორციელების თვალსაზრისით ჩვენ გადავხედეთ კოლმეურნეობის შესაძლებლობასა და რეზერვებს. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ გავადიდოთ მარცვლეულის ნათესი ფართობი და მოსავლიანობა, შესაძლებლობა გვაქვს წელსვე ავითვისოთ 250 ჰექტარი ახალი მიწა.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. საჭიროა გავადიდოთ მარცვლეული კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა. ამოცანად უნდა დავისახოთ ის, რომ ახლო მომავალში მოსავლიანობა ავიყვანოთ 20-24 ცენტნერამდე ჰექტარზე. ამის მისაღწევად აუცილებელია მტკიცედ განვახორციელოთ ათმინდრიანი თესლბრუნვა. წინათ საგაზაფხულო კულტურებს მზრალად მოეუნაჯებოდა ეთესებოდნ. მომავალში ეს არ უნდა გვიმეოროთ.

ჩვენ წელს უკვე შეგვიძლია ჰექტარზე მოვიყვანოთ 18 ცენტნერი თავთავიანი მარცვლეული კულტურები, 25 ცენტნერი სიმინდი, 15 ცენტნერი მზესუზრა. ეს ამოცანა რეალურია. ამას ადასტურებს ისიც, რომ 1945 წელს საშუალოდ ჰექტარზე 15,8 ცენტნერი ხორბალი მივიღეთ, 1947-1948 წლებში სიმინდის მოსავალმა 21,5 ცენტნერს მიაღწია, 1947 წელს ჰექტარზე მოყვანილ იქნა 14 ცენტნერი მზესუზრა, ხოლო ცალკეულმა ბრიგადებმა, რგოლებმა და კოლმეურნეებმა უფრო მაღალ მოსავალს მიაღწიეს.

მოსავლიანობის გასადიდებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგროტექნიკური ვადების მტკიცედ დაცვას. საგაზაფხულო სამუშაოები უკვე ჩაფიდა. გეგმით ყოველდღიურად იმუშავებს 40 გუთანი იმ ანგარიშით, რომ დღეში მოიხნას 30 ჰექტარი. თესვა ჩატარდება მთლიანად მწკრივად. სათოხნი კულტურები ჰექტარზე უნდა შეეანარჩუნთ 35-40 ათასი ძირი. საგაზაფხულო სამუშაოთა დროზე დამთავრებას ერთ ნიშნავს, რომ დროულად გავთოხნით სიმინდი და მზესუმზრა, უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, გავთიბოთ და დავაკოპოთ საკვები.

ვიმუშაოთ მთელი შეგნებით, განუხრელად განვახორციელოთ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. ყველა ერთსულოვნად დაეარაზმოთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად.

★

მორელ მეხილე კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად

სოფლებში ეცნობიან გორის რაიონის მეხილე კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტების მიმართვას. მეხილე კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაქები ერთსულოვნად იწონებენ გორელთა პატრიოტულ ინიციატივას, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს და ფართოდ აჩიალებენ მუშაობას ახალი ბაღების გაშენებისა და არსებული ნარგაევების მოვლის გაუმჯობესებისათვის.

ლუშეთი

როგორც ბარის, ისე მთის ზონის კოლმეურნეობებში დიდი შესაძლებლობაა ამისათვის, რომ გადიდებულ იქნას ხეხილის ყველა კულტურის ფართობი და მოსავლიანობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიჩურინული ჯიშების დანერგვას მთის ზონის სოფლებში — ფშავ-ხევსურეთის, ფასანაურის, გუდამაყრისა და მლეთის მიდამოებში.

კოლმეურნეობებში უკვე დაიწყო გორელ მეხილეთა მიმართვის განცხობა.

შარშან რაიონში 22 ჰექტარი ახალი ბაღი გაშენდა, ახლა კი გორელთა მოწოდების პასუხად 25 ჰექტარის გაშენება იკისრეს.

ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მებაღეობის ბრიგადირმა დ. პატარაშვილმა პირობა დადო საუკეთესოდ მოუაროს ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ატმის და სხვათა ნარგაევებს, 15 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი ხილი.

სოფელ არანისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა მ. მოძმანაშვილმა შარშან 11 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე 37 ცენტნერი ხილი მიიღო, წელს კი 45 ცენტნერის მოყვანა იკისრა. (საკ. კორ.).

საგარეჯო

კოლმეურნეობებში ეცნობიან გორელი მეხილეების მიმართვას. ბევრგან გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. გორელთა მოწოდების პასუხად გადაწყვეტილია დამატებით წელს რაონის კოლმეურნეობებში დარგონ 48 ჰექტარი ხეხილი (აქედან 8 ჰექტარი სუბტროპიკული ხურმა), ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებზე — 15 ჰექტარი, გარდა ამისა, მოეწყობა ხეხილის ერთი ჰექტარი, ხოლო ქარსაფარი მცენარეებისა და ცოცხალი ღობის 3 ჰექტარი სანერგე, 2.000 მეტრზე მცენარეებს დარგავენ ცოცხალი ღობისათვის, 5.000 მეტრზე კი ქარსაფარებისათვის. უკეთესად შესრულდება ბაღეშში ხეხილის გასხვლის, ძირების შებარვის, მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოები. უზრუნველყოფილი იქნება 140 ჰექტარი ბაღის სამჯერადი მორწყვა. კოლმეურნეობები პირობას იძლევიან 150 ჰექტარი მსხმოიარე ბაღის ყოველ ჰექტარზე წელს მიიღონ 40 ცენტნერი ხილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერისა.

— ჩვენს კოლმეურნეობაში, — ბაანაცხადა სართიშელის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. გენგაშვილმა, — მეხილეობის განვითარების დიდი შესაძლებლობაა. ამ მიმართვის პასუხად ვალდებულებას კისრულობ წელს კოლმეურნეობაში დამატებით გავაშენოთ 2 ჰექტარი ხეხილის ბაღი, ამასთანავე 10 ჰექტარი ბაღის ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 80 ცენტნერი ხილი.

სოფელ გომბორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა კ. დევდარიანი, 10 ჰექტარი ბაღის ყოველ ჰექტარზე 80 ცენტნერი ხილის მიღება იკისრეს.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" რესპუბლიკურ საბჭოში

შედგა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოს გაფართოებული სხდომა.

სხდომას დაესწრნენ სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვ. გოგუა, თავმჯდომარის მოადგილეები ამხანაგები ქ. ციმაკურიძე და ვ. გულისაშვილი, პრეზიდიუმის წევრები ამხანაგები ვ. კუპრაძე, ვ. ხატიაშვილი, მ. ჯაში, ს. ჭელიძე, საბჭოს წევრები ამხანაგები დ. დავითაძე, ა. ჭოჭუა, ი. კულუხოვი, საზოგადოება „ტყის მეგობრის" რაიონული და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტის, ბერიას სახელობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუშაკები და სხვ.

მოხსენება 1949 წელს ტყის დღის ჩატარების შესახებ გააკეთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ვ. გულისაშვილმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა საზოგადოება „ტყის მეგობრის" მიერ გაწეულ მუშაობაზე. ამჟამად საქართველოში არის „ტყის მეგობრის" 8.853 პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ 680 ათასზე მეტ წევრს. საზოგადოებამ სატყეო მშენებლობის იდეების პროპაგანდის მიზნით შარშან მოაწყო 4.850-მდე ლექცია და საუბარი ბუნების გარდაქმნის სტალინური პროგრამის, ტყეებისა და ტყესაცავი ზოლების მნიშვნელობის შესახებ. რესპუბლიკის რაიონებში შარშან დაირგო 6.800 ათას ძირზე მეტი აკაცია, წიწვიანი ხე, კაკალი და სხვა, შეგროვებულია ტყის ჯიშების 25 ათასზე მეტი კილოგრამი სხვადასხვა თესლი.

მაგრამ, როგორც ამხ. გულისაშვილმა აღნიშნა, საზოგადოება „ტყის მეგობრის" ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია. მაგალითად, დმანისისა და ასპინძის რაიონებში თითქმის არ ეწევიან საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების პროპაგანდას.

ცალკეულ რაიონებში არ ზრუნავენ ახალი ნარგავების მოვლისათვის. ამის შედეგად კასპის რაიონში გაიხარა ხეების მხოლოდ 15-17 პროცენტმა, ჩხარისა და ზემო სვანეთის რაიონებში—20, ონის რაიონში—45, დმანისის რაიონში—45-50 პროცენტმა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც „ტყის დღისათვის" უნდა განხორციელდეს.

ამხ. გულისაშვილი შეჩერდა იმ როლზე, რომელიც საზოგადოება „ტყის მეგობარმა" უნდა შეასრულოს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის მიერ ტყის კულტურის სხვადასხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად დასახული ამოცანების შესრულების საქმეში.

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბ. ლომიძის საანგარიშო მოხსენება. ქუთაისში შექმნილია 167 პირველადი ორგანიზაცია, რომლებშიც ითვლება 24.500 წევრი. ქალაქში დარგულია 100 ათასზე მეტი ხე.

მაგრამ, როგორც ამხ. ლომიძემ აღიარა, საზოგადოება „ტყის მეგობრის" საქალაქო საბჭოს მუშაობას მთელი რიგი ნაკლოვანებები ახასიათებს. ქალაქის ბევრ საწარმო-დაწესებულებაში დღემდე არ არის შექმნილი პირველადი ორგანიზაციები. ისეთ მსხვილ საწარმოში, როგორიც აბრეშუმის კომბინატია, საზოგადოებაში ჩაბმულია სულ 950 მუშა-მოსამსახურე, ხოლო ავტოქარხანაში—250 კაცი.

მოხსენებათა გამო გაჩაღდა კამათი.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" რაიონული და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებმა, ტყის მეურნეობის ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის პირველი გამოცდილება ტყის კულტურის ღონისძიებათა განხორციელებაში, ამხილეს ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი.

პროფესორმა დ. გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ რაიონში არ უვლიან ახალგაზრდა ხეებს. ხშირად დარგვისას არ ითვალისწინებენ რაიონის კლიმატურ პირობებს, მოუფიქრებლად არჩევენ ხის ჯიშებს. მან შეიტანა მთელი რიგი ძვირფასი პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც მიმართულია ხეების მასობრივად დარგვის უკეთ ჩატარებისაკენ.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" თეთრი წყაროს რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. პ. გურაბანიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წელს რაიონში დაირგვება 100 ათასი ხე, 1,5 ჰექტარ ფართობზე შეიქმნება სანერგე. გასუფთავდება რაიონში არსებული 30 ჰექტარი პანტის მასივი. აქ პანტა გაუმჯობესდება კულტურული ჯიშების მსხლის დამყნობით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ტყის კულტურის ხაზით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" აფხაზეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭოჭუამ.

— შარშან,—ამბობს ამხ. ჭოჭუა, — საზოგადოება „ტყის მეგობრის" პირველადმა ორგანიზაციებმა დარგეს 460 ათასი ხე, აქედან 78 პროცენტმა გაიხარა. წელს დაირგვება 634 ათასი ევკალიპტი, მარადმწვანე და წიწვიანი ხე.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ი. მარჯანიშვილმა ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე მცენარეული სამყაროს გარდაქმნის დარგში, რაც საქართველოში ხორციელდება.

— პარტიამ და მთავრობამ, — თქვა მან,—სატყეო მეურნეობის მუშაკებს დააკისრეს პასუხსაგები ამოცანა. ჩვენ დიდი მუშაობა მოგველის სახელმწიფო ტყესაცავი ზოლების შესაქმნელად. საქართველოში ტყის სახელმწიფო ზოლებში დაირგვება უმთავრესად ევკალიპტი სხვა სწრაფმზარდ წიწვიან და ფოთლოვან ჯიშებთან შერევით.

ამავე დროს ჩაღდება მუშაობა ევკალიპტის ხეების დარგვის გასადიდებლად. თუ ამჟამად საქართველოში 22 მილიონი ევკალიპტია, უკვე 1955 წლის დამლევს მისი რაოდენობა 100 მილიონამდე იქნება აყვანილი.

ტყის გაშენების საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ ტყესაცავმა სადგურებმა. ისინი აღჭურვილი იქნებიან გაუმჯობესებული მანქანებით. საქართველოში ეწყობა ოთხი ასეთი სადგური. წელს მოეწყობა ორი ტყესაცავი სადგური.

კამათში აგრეთვე გამოვიდნენ სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დ. დავითაძე, სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბ. კიზირია, საზოგადოება „ტყის მეგობრის" კასპის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ალაპიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ამხ. პ. მეტრეველი, თბილისის გამწვანების ტრესტის მთავარი აგრონომი ამხ. გ. კალანდაძე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი ამხ. მ. ჯაში და სხვები.

საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გოგუამ შეაჯამა სხდომის მუშაობა და შეჩერდა საზოგადოების წინაშე მდგომ უახლოეს ამოცანებზე.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში, მიმდინარე წლის 15 მარტსა და 10 მაისს შუა პერიოდში ერთ-ერთ კვირა დღეს „ტყის დღის" ჩატარების შესახებ. საზოგადოება „ტყის მეგობრის" საქალაქო და რაიონულ საბჭოებს წინადადება მიეცათ გააჩაღონ მოსამზადებელი მუშაობა „ტყის დღის" ჩასატარებლად და შეიმუშაონ გამწვანების სამუშაოთა კალენდარული გეგმა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი პირობებისათვის ვარგისი ტყის ჯიშების შერჩევას.

ტყის ნარგავების უკეთ მოვლის მიზნით პრაქტიკაში უნდა იქნას შემოღებული „ტყის მეგობრის" პირველადი ორგანიზაციებისათვის ტყის ცალკეული ნაკვეთების მიჩენა. საზოგადოება „ტყის მეგობრის" დასავლეთ საქართველოს საქალაქო და რაიონულ საბჭოებს წინადადება მიეცათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ევკალიპტის მასობრივ დარგვას და უზრუნველყონ ამ ნარგავების მზრუნველობით მოვლა. საზოგადოება „ტყის მეგობრის" თვითეულ საქალაქო და რაიონულ საბჭოს დაეკისრა ამოცანა—წლის განმავლობაში შექმნან სულ ცოტა 0,5 ჰექტარ ფართობზე სანერგეები დასარგავი მასალის გამოსაყვანად.

საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანების პოპულარიზაციისათვის საზოგადოება „ტყის მეგობრის" რაიონულმა, საქალაქო და საოლქო საბჭოებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ პრესა, რადიო, მოაწყონ ლექციები და საუბრები. ტყის კულტურის ღონისძიებათა მასობრივ განხორციელებაში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

სხდომაზე მიღებულ იქნა აგრეთვე დადგენილება სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის საანგარიშო მოხსენების გამო. (საქდესი).

საერთაშორისო მიმოხილვა

ინგლისი იარაღდება

ინგლისის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი სამი სამინისტროს—საზღვაო, სამხედრო და ავიაციის სამინისტროების ბიუჯეტის შესახებ. უკვე რამდენიმე დღეა თემთა პალატა იხილავს მას.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ წელს, მრავალი დაპირების შემდეგ, რომ შეამცირებდა სამხედრო ხარჯებს, ლეიბორისტული მთავრობა ითვალისწინებს ხარჯების 107 მილიონი გირვანქა სტერლინგით და მეტით გადიდებას. ოფიციალური, არასრული ცნობებით, „თავდაცვის" ხარჯების საერთო თანხა 700-800 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწევს. მაგრამ ამაში არ შედის მნიშვნელოვანი თანხები „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის", რაც გატარდება სხვა უწყებათა ბიუჯეტებით, და სამიმპერიო ქვეყნების სამხედრო ხარჯები.

ლონდონში შემუშავებული გეგმით, საპურილისა და სამარი მასალის შექმნა, სამხედრო წარმოების გაჩაღება, მაგალითად, ავსტრალიაში, კანადასა და ახალ ზელანდიაში, კოლონიების მიერ ბაზებისა და საზღვაო ძალების ცალკეულ შენაერთთა მშენებლობა განხორციელდება ადგილობრივი სახსრებით.

სამხედრო ხარჯების გადიდება ასახავს ინგლისის შეიარაღების მკვეთრ ზრდას. მთავრობის „თეთრი წიგნი" ცდილობს ამ ძირითადი ფაქტის შენიღბვას და ამტკიცებს, რომ, ჯერ ერთი, სამხედრო ხარჯების გადიდება გამოწვეულია სამხედრო მასალის, აგრეთვე თვით ჯარების შენახვის გაძვირებით, მეორე, თუმცა სამხედრო ბიუჯეტის თანხა შარშანდელ სამხედრო ბიუჯეტს აღემატება ას მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტით, შეიარაღებული ძალების რიცხობრივი შემადგენლობა შარშანდელზე ნაკლები იქნებაო. ასეთი არგუმენტებით ოფიციალური წრეები ცდილობენ შექმნან იმის შთაბეჭდილება, რომ ინგლისში არა თუ არ არის გამალებული შეიარაღება, არამედ, პირიქით, ინგლისი... განიარაღებას ახდენს.

სინამდვილეში, დიდ ბრიტანეთს მშვიდობიან დროს არასოდეს არ ჰყოლია ისეთი დიდი და ძვირადღირებული შეიარაღებული ძალები, როგორც უკანასკნელ წლებში. ბრიტანეთის არმიის რიცხვი (როგორც კადრის, დაქირავებულის, ისე ტერიტორიულის) ომამდე არ აღემატებოდა 300 ათას კაცს, ამასთან თოფქვეშ ჩვეულებრივ 200 ათასი კაციც კი არ იყო.

დიდ ბრიტანეთს ამჟამად თვითონ ჰყავს თოფქვეშ არაჩვეულებრივად მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც დაკომპლექტებულია (პირველად მშვიდობიანი დროის პირობებში) საყოველთაო-სამხედრო ბეგარის საფუძველზე. ოფიციალური ცნობებით, ამ არმიაში ითვლება დაახლოებით 800 ათასი კაცი. ხოლო თუ საერთო ციფრს მივუმატებთ სამხედრო ხომალდებისა და საჰაერო ფლოტის პირად შემადგენლობას, სამხედრო სამსახურში აღმოჩნდება სულ ცოტა მილიონნახევარი კაცი, ხოლო იმ კადრებთან ერთად, რომლებიც ემსახურებიან სამხედრო მრეწველობას, სამხედრო ნავსადგურებსა და სხვა—ორ მილიონამდე კაცი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ კიდევ, რომ ბრიტანეთის მსხვილ დომინიონებს და მრავალ ეგრეთ წოდებულ „გვირგვინის სამფლობელოებს" უხდებათ მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალების საკუთარ ხარჯზე შენახვა, თუმცა მათი მომზადება და გაფართოება ხდება ბრიტანეთის იმპერიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელობითა და უმაღლესი კონტროლით.

ეგრეთ წოდებული „არმიის პირადი შემადგენლობის შემცირება", რაზედაც ლაპარაკია „თეთრ წიგნში", ნამდვილად წარმოადგენს შეიარაღებული ძალების ნაწილის დამალვას სამხედრო მომზადების საიდუმლო ოლქებში მათი გადაადგილებით. მათ შესახებ „თეთრი წიგნი" ყრუდ ლაპარაკობს და გაკვრით იხსენიებს რაღაც „სპეციალურ სამხედრო ღონისძიებებს" ან „თავდაცვითი ხასიათის რთულ ტექნიკურ ნაგებობებს". ნამდვილად კი დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები წელს მკვეთრად იზრდება.

არმიის გარდა ეს პროცესი სრულად მჟღავნდება აგრეთვე საზღვაო და საჰაერო შეიარაღების დარგში. ბრიტანეთის ფლოტი, რომელმაც პირველობა ამერიკის ფლოტს დაუთმო, თავისი ტონაჟით, ხომალდებისა და პირადი შემადგენლობის რაოდენობით კვლავ ვეებერთელა რჩება. ფლოტის შენახვის ხარჯები წელს აღწევს 200 მილიონ გირვანქა სტერლინგს, რაც აღემატება უკანასკნელი ომამდელი წლების სამხედრო ბიუჯეტს და ომის პირველი წლის ბიუჯეტსაც კი. ფლოტის პირადი შემადგენლობა თითქმის 40 ათასი კაცით მეტია ომისწინა შემადგენლობაზე, როცა ინგლისი უკვე აქტიურად ემზადებოდა სამარი მოქმედებისათვის. იგივე შეეხება ავიაციას, სადაც ხარჯების სათანადო ზრდა შედარებით უფრო დიდია, ვიდრე საზღვაო ფლოტში, ვინაიდან დიდი ბრიტანეთის თანამედროვე საჰაერო ძალები ბევრად აღემატება ინგლისის 1939 წლის საჰაერო ფლოტს.

ასეთია რეალური სურათი, რომლის დაფარვასაც ცდილობენ ლეიბორისტი მინისტრები თავიანთი უხეში მონაჭორებით ვითომდა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

ინგლისი იარაღდება. სამხედრო ხარჯების გიგანტური ტვირთი, რაც ინგლისის ხალხსა და კოლონიების ხალხებს აწვება, პირდაპირი შედეგია ინგლის-ამერიკის ბლოკის რეაქციული აგრესიული პოლიტიკის აქტივიზაციისა, რაც გამოხატულია დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ატლანტიკის ბლოკებით, რომლებიც ომის გამჩაღებელთა იარაღს წარმოადგენენ.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობა ევროპაში

დემაგოგიური თავის დაძვრენა, რასაც ლეიბორისტი მინისტრები მიმართავენ იმისათვის, რომ შენიღბონ თავიანთი პოლიტიკის აგრესიული ხასიათი, ძალიან უბრალოდ აიხსნება: ეს პოლიტიკა პოპულარობით არ სარგებლობს ინგლისელი ხალხის ფართო ფენებში. ინგლისი სრულიადაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ტალღა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას მოედო.

ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთ სახელოვან ფურცლად შევა ორგანიზებული მუშების ამასწინანდელი გამოსვლა, რომლებმაც ერთი მილიონი კაცის რაოდენობით, მხარი დაუჭირეს დეკლარაციას — მოწოდებას ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, საბჭოთა კავშირთან მჭიდრო მეგობრობის დამყარებისაკენ.

ინგლისელ მუშათა მოწოდება, რასაც მოჰყვა ლენინგრადის მუშების ასეთივე მძლავრი საპასუხო მოწოდება, უეჭველად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობამ აქ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა.

ომის საწინააღმდეგო საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში ჩაებნენ ფრანგი მუშები, იტალიის, ნორვეგიის, დანიისა და სხვა ქვეყნების მუშები. მშრომელთა ეს მზარდი მასობრივი პასუხი ომის გამჩაღებელთა პოლიტიკის წინააღმდეგ ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში, ინგლის-ამერიკის ბლოკის აგრესიული გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში ირაზმება დემოკრატიის მძლავრი ბანაკი.

ამ დღეებში ინგლისში მძლავრად გაისმა ინგლისის კომპარტიის ხმა, რომელმაც ამხილა ლეიბორისტული მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკა და მოუწოდა ინგლისის მუშათა კლასსა და ინგლისელ ხალხს გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დასაცავად.

ევროპის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში მოწყობილი მრავალრიცხოვანი მიტინგები და ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები აგრეთვე წარმოადგენენ ფართო, ნამდვილად ომის საწინააღმდეგო საყოველთაო-სახალხო მოძრაობის მნიშვნელოვან ნიშნებს, მოძრაობისა, რომელიც უდიდესი ძალით იზრდება ევროპაში. ეს მოძრაობა მიმართულია ჩრდილო ატლანტიკის პაქტის სახით იმპერიალისტური ბლოკის შექმნის წინააღმდეგ. მორის ტორეზმა გამოხატა მთელი ევროპის მრავალმილიონიანი მშრომელი მასების აზრი და გადაწყვეტილება, როცა მან ამერიკის სააგენტოს ინტერნეიშნლ ნიუს სერვისისათვის გაგზავნილ საპასუხო დეპეშაში განაცხადა: „ატლანტიკის პაქტი წარმოადგენს ახალ, უაღრესად საშიშ ნაბიჯს იმ გზაზე, რომელსაც შეუძლია მოჰყვეს მესამე მსოფლიო ომი. ეს პაქტი ხაზგასმით გამოხატავს მარშალის გეგმის ზეეკონომიურ და წმინდა სამხედრო ასპექტს, რომლიდანაც იგი გამომდინარეობს. მარშალის გეგმა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის გეგმაა... მე რწმენას გამოვთქვამ, რომ მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობის მომხრეთა საერთო ღონისძიებებით ომის ახალ გამჩაღებელთა საზარელი პროექტები ჩაიფუშება".

ომის საწინააღმდეგო მძლავრი მოძრაობა, რაც ყოველდღე სულ უფრო ფართო მასშტაბს იღებს, მოწმობს, რომ მშვიდობისათვის მებრძოლ ორგანიზებულ ძალებს მუშათა კლასის მეთაურობით გარკვევით ესმით თავიანთი ამოცანები და ვალი ხალხების წინაშე, თავიანთი ქვეყნებისა და მთელი კაცობრიობის მომავლის წინაშე.

ი. ერმაშოვი

სარეწაო კოოპერაცია ახალი ამოცანების წინაშე

1 მარტიდან საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემაში დაიწყო ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. ამ ღონისძიების მთავარი დანიშნულება ის არის, რომ მივაღწიოთ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სარეწაო კოოპერაციას ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში თვალსაჩინო ხვედრითი წონა აქვს. ამის ნათელსაყოფად საკმაოა ითქვას, რომ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემაში გაერთიანებულია 22.000 მუშა-მოსამსახურე, რომლებიც 286 საარტელო საწარმოსა და 2 ფაბრიკაში მუშაობენ. მარტო მიმდინარე 1949 წლის განმავლობაში ამ საწარმოებმა სამშობლოს უნდა მისცენ 269 მილიონი მანეთის პროდუქცია (მოხმარების საქონელი) და მომხმარებელს გაუწიონ 135 მილიონ მანეთად ღირებული საყოფაცხოვრებო ხასიათის მომსახურება (შემკეთებელი სახელოსნოების, სამკერვალოების და სხვა ყოფაცხოვრებითი დანიშნულების საწარმოთა საშუალებით). სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოებმა წელს უნდა გამოუშვან 500.000 მეტრი ბამბის ქსოვილი, 154.000 მეტრი შალნარევი და აბრეშუმნარევი ქსოვილი, 350.000 წყვილი ჩულქი და წინდა, 650.000 ცალი ტრიკოტაჟის საცვალი, 404 ტონა საპონი, 500 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 10 მილიონი ცალი აგური და კრამიტი, 47 მილიონი მანეთის სამკერვალო ნაწარმი, 337 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 25 მილიონი მანეთის სასურსათო პროდუქცია და სხვ.

ეს დიდი ამოცანებია, და ამ ამოცანათა შესრულებას საქართველოს სარეწაო კოოპერაცია საკმაოდ ხელსაყრელ პირობებში იწყებს. ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ დასახული პროგრამა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულოთ. 1946 წელს, მაგალითად, პროდუქციის გამოშვება სარეწაო კოოპერაციამ 1945 წელთან შედარებით გაადიდა 6,5 პროცენტით, 1947 წელს—17,6 პროცენტით, ხოლო 1948 წელს—16,5 პროცენტით. ამრიგად, ჩვენ გვაქვს პროდუქციის გამოშვების განუხრელი ზრდა. ხუთწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე სარეწაო კოოპერაციამ 661 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია მოგვცა. ეს კარგია, მაგრამ საქმის გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ შეიძლებოდა კიდევ უკეთესი მაჩვენებლების მიღწევა, თუ დროულად აღმოვფხვრიდით ნაკლოვანებებს, თუ ოპერატიულად და ბეჯითად იმუშავებდნენ სარეწაო კოოპერაციის ყველა რგოლსა და უბანზე. 1948 წელს, მაგალითად, 7 რესპუბლიკური დარგობრივი სარეწაო კავშირიდან და ავტონომიური რესპუბლიკების ორი სარეწაო კავშირიდან წლიური დავალებები ვერ შეასრულა სამმა კავშირმა (ტყავკავშირმა—პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. სარქისოვი, კვებქიმკავშირმა — თავმჯდომარე ამხ. სურგულაძე, და აჭარის სარეწაო კავშირმა — თავმჯდომარე ამხ. ხალვაში). ამ კავშირებში შემავალ არტელთა უმეტესობაში აღმოფხვრილი არ არის კვეთებით მუშაობა, იერიშობანა. ლითონკავშირის ხაზით 20 არტელიდან გეგმა ვერ შეასრულა 8 არტელმა, ტყავსარემონტო კავშირის 36 არტელიდან—26 არტელმა, კვებქიმკავშირის 36 არტელიდან—15-მა, საფეიქრო-სამკერვალო კავშირის 47 არტელიდან—24-მა. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა აქვთ ამ არტელებს საასორტიმენტო და ხარისხობრივ მაჩვენებლებში. ლურსმნის გამოშვების გეგმა შარშან 82 პროცენტით შესრულდა, ფეხსაცმლისა—71 პროცენტით, ლითონის საწოლებისა—39 პროცენტით და ა. შ. არტელთა ხელმძღვანელები გატაცებული არიან უფრო იოლად შესასრულებელი და ნაკლებ შრომატევადი პროდუქციის გამოშვებით. ამ მავნე განწყობილებით ბევრ არტელში არიან შეპყრობილი და ამით აიხსნება ის, რომ ბაზარზე ძნელი საშოვნი ხდება საბავშვო საწოლები, საბავშვო ფეხსაცმელი და მთელი რიგი სხვა ასორტიმენტის პროდუქცია. საბავშვო საწოლის გასაკეთებლად თითქმის იმდენივე შრომა უნდა იქნას გაწეული, რამდენიც დიდი საწოლის გაკეთებისას, ფასებში კი განსხვავებაა და არტელთა ზოგი ხელმძღვანელი ამჯობინებს მეტ შემოსავალს, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს ნაკლებად უწევს ანგარიშს. ასეთი განწყობილება ჩვენ არტელებში ძირიანად უნდა აღმოვფხვრათ.

სარეწაო კოოპერაციაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ისე ვერ არის მოწყობილი, როგორც საჭიროა. სარეწაო კოოპერაციის სამმართველოსა და დარგობრივი სარეწაო კავშირების მუშაობა ამ მხრივ გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ. ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის სარეწაო კოოპერაციას დიდ დახმარებას გაუწევენ სავაჭრო ორგანიზაციები იმით, თუ უფრო მკაცრნი და მომთხოვნი იქნებიან სარეწაო არტელებიდან სარეალიზაციო საქონლის მიღებისას. ჯერჯერობით ასეთი მომთხოვნელობა სავაჭრო ორგანიზაციების მხრივ იშვიათია.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კოოპერაციული ქონების განიავება-დატაცების შემთხვევები. ცალკე არტელებში განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ბრძოლა მტაცებლებთან და გამფლანგველებთან. ამის მიზეზი ის არის, რომ არტელთა გამგეობების მუშაობას ყოველდღიურ კონტროლს ვერ ვუწევთ, ხოლო სასამართლო-პროკურატურის ორგანოები არტელებს ამ საქმეში არასაკმაოდ ეხმარებიან. საჭიროა აქვე ითქვას, რომ ბოლო წლებში კოოპერაციული სახსრების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ 1948 წელს გაფლანგულმა თანხამ მაინც შეადგინა 1 მილიონი მანეთი.

სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოები, უმთავრესად მუშაობენ ადგილობრივი რესურსების ბაზაზე. ეს რესურსები, როგორც ცნობილია, მარტო ქალაქად როდია, მეტი მარაგი რესურსებისა რაიონებში, სოფლებშია. მაშასადამე, ამ რესურსების გადამმუშავებელი არტელებიც უმთავრესად რაიონებში, სოფლად უნდა იყვნენ. ახლა კი სარეწაო კოოპერაციის სისტემის მიერ გამომუშავებული საერთო პროდუქციიდან 65 პროცენტს უშვებს ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ზუგდიდი, თელავი და სხვ.) არსებული არტელები. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში (მახარაძის, ზუგდიდის, სამტრედიის, აბაშის, თელავის, ყვარლის, ზესტაფონის და სხვ.) არსებული არტელებიც კი უმთავრესად ფონდირებული ნედლეულის გადამუშავებას აწარმოებენ. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა რაიონებში შევქმნათ არტელები, რომლებიც იმუშავებენ ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებაზე.

საჭიროა არ დავივიწყოთ, რომ სარეწაო კოოპერაციის არტელებში პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა წარმოების მექანიზაციის ფართოდ განხორციელება. ახლა შეუწყნარებელია პრიმიტიული წესით მუშაობა. ჩვენ მასობრივად უნდა დავნერგოთ არტელებში მუშაობა ახალი მექანიზმებით, მანქანებითა და გაუმჯობესებული ხელსაწყოებით. მათი შეძენა შეგვიძლია სახელმწიფო მრეწველობაში. გარდა ამისა, იმის შესაძლებლობაც გვაქვს, რომ საკუთარ საწარმოებში დავამზადოთ ამ მექანიზმების საგრძნობი ნაწილი (სხვადასხვა წნეხები, აპარატები, ხის გადამმუშავებელი დაზგები, საქსოვი მანქანები და ა. შ.).

სარეწაო კოოპერაციის სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლაც აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 აპრილის დადგენილების განხორციელებას კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებიდან კერძო მესაქმეთა განდევნის შესახებ. ამ დადგენილების შესასრულებლად სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამ ბოლო ხანებში შემჩნეულია ყურადღების შესუსტება ამ საქმისადმი. მაგალითად, კვებქიმკავშირის პრეზიდიუმმა თბილისის არტელ „ქიმსარეწკოოპში" და სამტრედიის არტელ „კოლხიდაში" გამოვლინებული, ამჟამად უკვე განდევნილი კერძო მესაქმეებისადმი ლიბერალური დამოკიდებულებისათვის არტელთა ხელმძღვანელები არ დასაჯა. ჩვენი ვალია სარეწაო კოოპერაციის სისტემა გავწმინდოთ უცხო, კერძო მესაქმეებისა და სპეკულანტებისაგან.

წელს სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა კოლექტივებს განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანების შესრულება ეკისრებათ. ამ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა უშუალოდ დაკავშირებულია მთელი ჩვენი კოოპერაციული სისტემის ორგანიზაციულად განმტკიცებასთან. ამიტომ არის, რომ ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარე კამპანიას წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ეს კამპანია მიმდინარეობს საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპების სრული შესაბამისობით. საანგარიშო კრებებზე არტელების წევრებმა უნდა მოსთხოვონ თავიანთ ხელმძღვანელებს მუშაობის გადაჭრით გარდაქმნა, მათ უნდა წამოაყენონ და არტელთა გამგეობებში, აგრეთვე სარევიზიო კომისიებში აირჩიონ ყველაზე უნარიანი, ყველაზე ენერგიული, მუშაობაში მრავალჯერ შემოწმებული კეთილსინდისიერი ადამიანები. მხოლოდ ასეთ ადამიანებს ძალუძთ დადგნენ მოწოდების სიმაღლეზე, გააჯანსაღონ სარეწაო კოოპერაციის ყველა რგოლისა და ყველა უბნის მუშაობა. რიტმიული მუშაობის მტკიცედ დანერგვა, საწარმოო გეგმების შესრულება არა საერთოდ, არამედ საასორტიმენტო და ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც, კოოპერაციული ქონების დატაცება-გაფლანგვის შემთხვევათა სრული ლიკვიდაცია, მექანიზაციის განხორციელება, კერძო მესაქმეთა განდევნა, სოფლად საარტელო წარმოების ქსელის გაფართოება, ყველა იმ სამუშაოთა შესრულება, რაც სარეწაო კოოპერაციის მუშაობის სრულ გაჯანსაღებას გამოიწვევს, შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ არტელთა ხელმძღვანელებად არჩეულ იქნებიან ღირსეული ადამიანები.

ანგარიშგება-არჩევნების კამპანია 1 აპრილამდე დამთავრდება. საანგარიშო კრებებზე ფართოდ უნდა გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა. საჭიროა გამოვამჟღავნოთ სარეწაო კოოპერაციის მუშაობაში არსებული ყველა ნაკლოვანება, მოურიდებლად გავაკრიტიკოთ ხელმძღვანელი მუშაკები და მათ ნაცვლად ავირჩიოთ ისეთები, რომელთაც უნარი შესწევთ გარდაქმნან მუშაობა, სარეწაო კოოპერაცია გადააქციონ სახალხო დოვლათის გადიდების ერთ-ერთ მძლავრ წყაროდ, სახელი მოუპოვონ მომხმარებლებში სარეწაო არტელებში დამზადებულ პროდუქციას.

შ. აბაიშვილი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს უფროსი

„ჩვენ ვიბრძოლებთ და გავიმარჯვებთ მშვიდობისათვის ბრძოლაში..."

ტორეზის გამოსვლა მიტინგზე პარიზში

პარიზი, 3 მარტი. (საკდესი). პარიზის საზამთრო ველოდრომზე გაიმართა მასობრივი მიტინგი მშვიდობის დასაცავად. 50 ათასი კაცისაგან შემდგარი აუდიტორია ხანგრძლივი ტაშით მიესალმა მორის ტორეზს, ჟაკ დიუკლოს, მარსელ კაშენის, ანდრე მარტის და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა ტრიბუნაზე გამოჩენას.

მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა მიტინგის თავმჯდომარემ მარსელ კაშენმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ათიათასობით პარიზელი შეიკრიბა, რათა „ცხადყოს თავისი სრული სოლიდარობა მორის ტორეზისადმი, რომელმაც ღირსება და მოქალაქეობრივი მამაცობა გამოიჩინა ბრალად დაედო ჩვენი მმართველებისათვის მესამე ომის მომზადება".

„დღევანდელ მიტინგზე,—თქვა შემდეგ გამოსულმა ჟაკ დიუკლომ,—რაც უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტს წარმოადგენს, თქვენ მოხვედით, რათა დაჰგმოთ ომის მომზადების პოლიტიკა, რასაც ახორციელებენ კეი, რამადიე, შუმანი და სხვა დეგოლელები. თქვენ მოხვედით, რათა დაჰგმოთ ამერიკელი მილიარდერები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიგვაღებინონ თავიანთ იმპერიალისტურ ომში. თქვენ მოხვედით, რათა დაჰგმოთ დასავლეთ გერმანიის ნაცისტებთან საზიზღარი კავშირი, რათა დაჰგმოთ დანაშაულებრივი ომი ჩვენი დიდი მოკავშირის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თქვენ მოხვედით, რათა განუცხადოთ საფრანგეთის კომპარტიას და მის გენერალურ მდივანს მორის ტორეზს თქვენი რწმენა მათდამი, განუცხადოთ თქვენი მისწრაფება ერთიანობისა და მოქმედებისადმი, მშვიდობის დასაცავად".

დიუკლომ მოიხსენია მარსელ კაშენისა და ფლორიმონ ბონტის წინააღმდეგ მიმართული სასამართლო დევნა და მორის ტორეზის წინააღმდეგ დევნის მომზადება და თქვა: „ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ტორეზს. მისი განცხადება ჩვენი განცხადებაა". დიუკლოს სიტყვებმა ტაშის გრიალი გამოიწვია.

დიუკლომ დაადასტურა, რომ ფრანგი ხალხი არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ვებრძვით რა ომის წინააღმდეგ, რომლის გაჩაღებაც იმპერიალიზმის მსახურთ სურთ,—თქვა დიუკლომ,—შეგნებული გვაქვს, რომ ჩვენ საფრანგეთისა და რესპუბლიკის ჭეშმარიტი დამცველები ვართ, ჩვენ კონსტიტუციის ერთგული ვრჩებით.—გადავუღობოთ გზა ომის გამჩაღებელთ ჩვენი ერთიანობით, ჩვენი ნებისყოფით, ჩვენი მეცადინეობით, ჩვენი იმედებითა და ჩვენი მტკიცე რწმენით. გავაერთიანოთ მოქმედება და ჩვენ ხელს შევუშლით ახალი ომის წარმოშობას და ვიხსნით მშვიდობას".

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ფეხზე მდგომნი მიესალმნენ მორის ტორეზს. ტაში არ შეწყვეტილა რამდენიმე წუთს. საზეიმო ვითარებაში ორკესტრმა „მარსელიეზა" დაუკრა.

ტორეზმა გაიმეორა თავისი განცხადება საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა არმიისადმი საფრანგეთის ხალხის დამოკიდებულების შესახებ და განაგრძო:

ის განცხადება, რომელიც იწვევს ომის გამჩაღებლების, ნამდვილი უცხოური პარტიის ადამიანების, ამერიკული პარტიის ადამიანების, წივილ-კივილს. ის განცხადება, რომელსაც მხურვალედ ეგებება ყველა მშრომელი, ყველა რესპუბლიკელი, წინააღმდეგობის მონაწილე, თავისუფლებისა და მშვიდობის ყველა მეგობარი.

მაშ რამ გააცოფა ასე ომისგამჩაღებელნი?

იმან, რომ ჩვენ ჩამოვგლიჯეთ მათ ფარისევლობის ნიღაბი, გავაშიშვლეთ რა მათი,—თავისუფლებისა და მშვიდობის მტრების, ნამდვილი სახე, იმან, რომ ავხადეთ საიდუმლოებისა და დუმილის ფარდა, რომელს იქითაც ომის გამჩაღებელთ სურდათ განეგრძოთ თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვები, იმან, რომ ჩვენ სიმართლეს ვლაპარაკობთ და იმან, რომ ამ წვრილმან კაცუნებს ეშინიათ სიმართლისა, ეშინიათ თავიანთი ხალხისა, ეშინიათ პროგრესისა და მომავლისა, რომელიც ჩვენ, კომუნისტებსა და მუშათა კლასს გვეკუთვნის, იმან, რომ ჩვენ მაღლა გვიპყრია მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დროშა.

გასაგებია, რომ ეს იწვევს ომის პარტიის გაშმაგებულ იერიშებს ჩვენს წინააღმდეგ და რომ ეს უზრუნველყოფს ჩვენთვის ხალხის მასების უფრო მეტ ნდობას, უფრო მეტ სიყვარულს.

ტორეზმა პრემიერ-მინისტრ კეის ამასწინანდელი ანტისაბჭოთა განცხადება შეაფასა, როგორც ომის გამჩაღებელთა პროპაგანდისტული კამპანიის ნაწილი. ტორეზმა აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საფრანგეთის მთავრობის მიერ დადებული ყველა პაქტი და შეთანხმება: ბრიუსელის პაქტი, მარშალის გეგმა და სხვ. მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს ხალხების წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ ერთგულია თავისი სამშვიდობო პოლიტიკისა, რომლის განხორციელებაც ლენინმა 1917 წლის 7 ნოემბერს დაიწყო.

ჩვენი მმართველები, განაგრძო ტორეზმა, საფრანგეთის ინტერესებისათვის კი არ დაუბრუნდნენ ანტისაბჭოთა გამოხდომებს, დამღუპველ მიუნხენის პოლიტიკას, რომელმაც უკვე ესოდენ დიდი უბედურება მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მათ ეს ჩაიდინეს კაპიტალისტური უმცირესობის კლასის ინტერესებისათვის, რომელიც ერის ინტერესებს მსხვერპლად სწირავს ექსპლოატატორთა და სხვა პარაზიტთა პრივილეგიების დაცვას. მიუნხენი ხომ იყო „დასავლეთ ევროპის" მთავრობების ცდა, ერთი მხრივ დალადიეს და ჩემბერლენის და მეორე მხრივ ჰიტლერისა და მუსოლინის ცდა შეთანხმებულიყვნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დემოკრატიის წინააღმდეგ, ხალხთა წინააღმდეგ. იმ დროს რეაქციონერები აშკარად ამბობდნენ: „უმჯობესია ჰიტლერი, ვიდრე სახალხო ფრონტი", ახლა ისინი არანაკლებ აშკარად ამბობენ: „უმჯობესია ამერიკელი მილიარდერები და სამხედრო პოლიცია, ვიდრე დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა".

დიახ, ეს ისინი არიან, ვისაც ყველაზე მეტად აშინებს „სოციალური შერყევანი", რომელთა შესახებაც ერთ დროს გენერალი დე გოლი ლაპარაკობდა, ისინი არიან, ვისაც აშინებს ჩვენს ქვეყანაში ძმური, სამართლიანი საზოგადოების, ბედნიერებისა და მშვიდობის დამყარება, სწორედ ისინი უწევენ დღეს საბოტაჟს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კავშირს, საფრანგეთს აქცევენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის ბაზად, ხოლო ჩვენს შვილებს—ამერიკელი კაპიტალისტების დასავლეთი არმიის წინასწარვე განწირულ ჯარისკაცებად.

საზიზღარი ცილისმწამებელნი ამტკიცებენ, რომ ჩვენ, კომუნისტებს, გვსურს ომი, რადგან ჩვენ თითქოს მხოლოდ წითელი არმიის იმედი გვაქვს, რომ კაპიტალისტურ რეჟიმს დავამხობთ. განა ჩვენ არ ვიცით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ხალხს აწვება ომის მთელი სიმძიმე?... ნამდვილად კი ეს ცილისმწამებელნი თვითონ ამჟღავნებენ თავიანთ თავს. სწორედ მათ აქვთ უცხოელთა ხიშტების, ატომური ბომბის იმედი, რომ შეინარჩუნებენ თავიანთ ბატონობას...

მორის ტორეზმა მოაგონა მიტინგს, რომ ეროვნულ კრებაში არც მთავრობის მეთაური, არც ერთი მინისტრი ოდნავაც არ ცდილა გაებათილებინა საფრანგეთში ამერიკელთა ბატონობის დამყარების ფაქტები. გარდა იმისა, რომ ფონტენბლოში არის უცხოეთის შტაბი, თქვა ტორეზმა, საფრანგეთის ტერიტორიასა და მის ზღვას იქითა ტერიტორიებზე ქმნიან ამერიკელთა საჰაერო და საზღვაო სამხედრო ბაზებს, უცხოელთა შემოჭრა ხორციელდება მრავალ დარგში: საფინანსო, ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში. და ეს ადამიანები, თქვა ტორეზმა, მოითხოვენ საფრანგეთის უფრო სრულ ოკუპაციას, ამასთან ისინი ბედავენ დაირქვან „ეროვნული ღირსების დამცველები" და „ეროვნული დამოუკიდებლობის დამცველები"... რა უტიფრობაა! რა ფარისევლობაა!

შემდეგ ტორეზმა მოიყვანა ციტატი რამადიეს განცხადებიდან, რომ საფრანგეთის თავდაცვა „უკვე წარმოუდგენელია პატარა ქვეყნის ვიწრო ფარგლებში" და თქვა: რამადიეს სიტყვით გამოდის, რომ დემოკრატიული მთავრობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნა დანაშაულია. მაშ აღარ ყოფილა არც ეროვნული ომი, არც თავდაცვა, მაშასადამე, არც ეროვნული არმია, ამის ნაცვლად არის დასავლეთის არმია უცხოელთა სარდლობით, რათა სოციალიზმის ქვეყნის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იომოს.

ასეა! მაგრამ ფრანგი ხალხი გეუბნებათ: „არა", „არა" და „არა". (ეს სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა).

ომი გარდუვალი არ არის, თქვა შემდეგ ტორეზმა. და მთელი ჩვენი ძალღონე იმისაკენ არის მიმართული, რომ ხელი შევუშალოთ ახალი ომისა და ახალი ნგრევის წარმოშობას.

დემოკრატიისა და მშვიდობის ძალები, თუ ისინი გაერთიანდნენ, უკან დაახევინებენ ავანტიურისტებსა და იმპერიალისტური ომის გამჩაღებლებს. მაგრამ წუთის დაკარგვაც არ შეიძლება. ჩვენ ვმოქმედებთ საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ტრადიციების შესაბამისად. მთელი მგზნებარებით და სრული შეგნებით ვიცავთ მშვიდობის საქმეს, ჩვენ ვიცით, რომ ვემსახურებით საფრანგეთის ინტერესებსა და რესპუბლიკის საქმეს.

ამის შემდეგ რაღა ფასი აქვს ანტიკომუნისტური კამპანიის გაჩაღების ცდებს, „შპიონაჟისა" და სხვა მუქარის ამბების გამოყენებას! თუ მთავრობა გაბედავს დევნა დაგვიწყოს იმისათვის, რომ ჩვენ ვაცხადებთ—ანტისაბჭოთა ომის წინააღმდეგი ვართო,—ეს იქნებოდა იმ დანაშაულის აღიარება, რომელიც მზადდება. ამრიგად, მთავრობა დაამტკიცებდა, რომ ნებას იძლევა ცილი დასწამონ მის მოკავშირეს — საბჭოთა კავშირს, ცილი დასწამონ მის მთავრობასა და საბჭოთა ხელმძღვანელებს. მთავრობა დაადასტურებდა იმას, რომ იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების პოლიტიკის სულისჩამდგმელია და კრძალავს მშვიდობის დასაცავად მიმართულ ბრძოლას. უღირსი მთავრობა, მიმართავს რა საზიზღარ მეთოდებს, რათა დაფაროს თავისი ჭეშმარიტი განზრახვა, ამით იწვევს ყველა პატიოსანი ფრანგის, ყველა ფრანგი პატრიოტის, და არა მარტო კომუნისტების, ზიზღსა და სიძულვილს. ასეა თუ ისე, ჩვენ ვერაფერი შეგვიშლის ხელს მოვიხადოთ ჩვენი ვალი, ვერაფერი შეუშლის ხელს საფრანგეთის ხალხს, ქალსა და თუ კაცს, ახალგაზრდას თუ მოხუცს, მუშას თუ გლეხს, ინტელიგენციას, მთელ ხალხს გაერთიანდეს სამოქმედოდ, რათა იხსნას მშვიდობა საფრთხისაგან. ის გარემოება, რომ მთავრობამ აკრძალა ქალთა დემონსტრაცია 6 მარტს, ხაზგასმით ამჟღავნებს მთავრობის შიშს, მაგრამ სრულიადაც ვერ დააშინებს ფრანგ ქალებსა და კაცებს, რომლებმაც გადაწყვიტეს დიადი ბრძოლა გააჩაღონ მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ყველა მიმართულებისა და სარწმუნოების ფრანგები, კომუნისტები, კათოლიკეები, უნიტარული პარტიის სოციალისტები, ყველა ელფერის რესპუბლიკელები, გაერთიანებულნი და დარწმუნებულნი იმ ბრძოლის სამართლიანობაში, რომელსაც ისინი ეწევიან, გზას ულობავენ ომის გამჩაღებელთ. ჩვენ, სიცრუისა და ცილისწამებისადმი ზიზღით გამსჭვალულნი უშიშრად ვებრძოლებით და გავიმარჯვებთ მშვიდობისათვის, საფრანგეთის ინტერესებისათვის, რესპუბლიკის ინტერესებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ტორეზის საბოლოო სიტყვები დაფარა მქუხარე ხანგრძლივმა ოვაციამ და მისალმებებმა ტორეზისა და კომუნისტური პარტიისადმი.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„საზამთრო ველოდრომის შენობაში გამართულ მიტინგზე შეკრებილი პარიზელები ენთუზიაზმით იწონებენ და სავსებით ეთანხმებიან მორის ტორეზის განცხადებას და მის გამოსვლას ეროვნულ კრებაში. ისინი მიესალმებიან სტალინისა და საბჭოთა კავშირის—სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბასტიონის—მშვიდობიან წინადადებებს, რაც არა ერთხელ იყო განმეორებული. ისინი ვალდებულებას კისრულობენ ყოველი ღონე იხმარონ, რომ გააერთიანონ მშვიდობის მომხრეთა უფართოესი მასები, რათა კვლავ მოიპოვონ ეროვნული დამოუკიდებლობა და ჩაშალონ ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმები".

ბულგარეთის განთავისუფლების 71-ე წლისთავის დღესასწაული

სოფია, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს კინოთეატრ „მოსკვას" შენობაში გაიმართა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრთა და დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი რუსეთის ჯარების მიერ ბულგარეთის განთავისუფლების 71-ე წლისთავისადმი. 1877-1878 წლების განმათავისუფლებელი ომის შესახებ მოხსენება გააკეთა ბულგარეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ივან კინოვმა.

მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა პლოვდივში, ბურგასში, სვიშტოვსა და ბულგარეთის სხვა ქალაქებში. თურქეთის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების 71-ე წლისთავი განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა პლევენში, სტარაია ზაგორაში, კაზანლიკსა და სოფელ შიპკაში, სადაც რუსეთის ჯარები ყველაზე სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდნენ ბულგარელი ხალხის საუკუნოვანი მჩაგვრელის წინააღმდეგ.

საზეიმო სხდომების და მიტინგების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშები სსრ კავშირის ხალხთა ბელადს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს.

მარშალ სოკოლოვსკის განცხადება

ბერლინი, 3 მარტი. (საკდესი). გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ინფორმაციის ბიურომ დღეს გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის მარშლის ვ. დ. სოკოლოვსკის განცხადება რეპატრიაციის საკითხების საბჭოთა მისიის მიმართ ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა უკანონო მოქმედების გამო. ამ განცხადებაში ნათქვამია შემდეგი:

„კავშირგაბმულობის საბჭოთა სამხედრო მისიამ ამერიკის ზონაში გვაცნობა, რომ 2 მარტს დილით გენერალ კლეის განკარგულებით ამერიკის სამხედრო პოლიცია გარს შემოერტყა რეპატრიაციის საკითხების საბჭოთა მისიის შენობას მაინის ფრანკფურტში, გამორთო მისიის წყალი, ელექტრონი, გაზი და ტელეფონები, აკრძალა როგორც შენობაში შესვლა, ისე იქიდან გამოსვლა. გენერალმა კლეიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისიის თანამშრომლები „ვეღარ მიიღებენ სურსათს და უფლება არ ექნებათ საქმისათვის მიიღონ მნახველები".

გაზეთები იუწყებიან, რომ ამ სამარცხვინო პოლიციურ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ამერიკის არმიის პოლკოვნიკი სტერლინგი, ამასთან ამერიკელი შეიარაღებული პოლიციელები ღობეზე გადაეიდნენ მისიის ბაღში, გარს შემოერტყნენ შენობას და საბჭოთა მისიის თანამშრომლებს (სულ 8 ოფიცერი და ჯარისკაცი) წარუდგინეს ულტიმატუმი: „დაუყოვნებლივ დასტოვეთ მაინის ფრანკფურტი ან შიმშილით დაგხოცავთო". ეს, როგორც ჩანს, ამერიკის სარდლობის მიერ დეტალურად შემუშავებული და გენერალ კლეის მიერ დამტკიცებული სამარცხვინო ოპერაცია ამერიკის ზონაში რამდენიმე საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის წინააღმდეგ წარმოადგენს გერმანიაში ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ იმ საერთაშორისო ვალდებულებათა მოურიდებელი გათელვის ახალ დადასტურებას, რომლებიც როგორც ამ ხელისუფლებმა, ისე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ იკისრეს.

1945 წლის 11 თებერვალს დადებულ იქნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის სპეციალური შეთანხმება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ყველა იმ მოქალაქის სამშობლოში დასაბრუნებლად, რომლებიც საომარი მოქმედებისა და ფაშისტ ხელისუფალთა ძალადობის შედეგად თავიანთი სამშობლოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდნენ. საბჭოთა მხარემ პატიოსნად და მთლიანად შეასრულა ეს შეთანხმება. ამერიკელი ხელისუფალნი ფეხქვეშ თელავდნენ ამ შეთანხმებას. 1947 წლის 23 აპრილს სსრ კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ მიიღო შეთანხმებული გადაწყვეტილება ყველა ადგილგადანაცვლებული პირის რეპატრიაციის დაჩქარების შესახებ და გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებსა და ავსტრიაში რეპატრიაციის საკითხთა მისიების წარმატებითი მუშაობისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნის შესახებ. ეს გადაწყვეტილებაც ქაღალდზე დარჩა.

ამერიკის ხელისუფლებმა ანგარიში არ გაუწიეს არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1947 წლის 17 ნოემბრის რეზოლუციას ადგილგადანაცვლებულ პირთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

ამერიკის სამხედრო ხელისუფლებს არ სურთ დაუშვან ამერიკის ზონიდან სამშობლოში, საბჭოთა კავშირში, 116 ათასი საბჭოთა მოქალაქის დაბრუნება და ძალით გზავნიან საბჭოთა მოქალაქეებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, კანადაში, სამხრეთ ამერიკაში და ამ ადამიანებს უუფლებობას, მოსპობასა და დაღუპვას უმზადებენ. საბჭოთა მისიის მოცილება ამერიკის ხელისუფალთ იმისათვის ესაჭიროებათ, რომ გააადვილონ ძალადობისა და თვითნებობის პოლიტიკის განხორციელება საბჭოთა მოქალაქეების, მათ შორის ქალებისა და ბავშვების, მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ ჰყავთ ამერიკის ზონის ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკებში.

რეპატრიაციის საკითხების საბჭოთა მისიაზე პოლიციის სამარცხვინო თავდასხმა მაინის ფრანკფურტში მხოლოდ იმას მოწმობს, რომ გერმანიაში ამერიკის სამხედრო ხელისუფალთათვის საერთოდ უცხოა ელემენტარული საერთაშორისო ტრადიციები და ჩვეულებანი, რომელთაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასრულებენ.

საბჭოთა სამხედრო სარდლობა საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევისათვის და რეპატრიაციის საკითხების საბჭოთა მისიის მიმართ ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა პროვოკაციული მოქმედებისათვის მთელ პასუხისმგებლობას ამერიკის სამხედრო სარდლობას აკისრებს.

ბერლინი, 3 მარტი. (საკდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, მარშალმა სოკოლოვსკიმ მითითება მისცა რეპატრიაციის საკითხების საბჭოთა მისიას დატოვოს გერმანიის ოკუპაციის ამერიკული ზონა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია

პარიზი, 4 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ გუშინდელ სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია: „მორის ტორეზის განცხადებას ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი მშვიდობის ყველა მომხრემ, რომელთაც კომუნისტურ პარტიასთან ერთად სურთ ჩაშალონ ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმები. მორის ტორეზის განცხადებამ ფარდა ახადა სიცრუესა და ფარისევლობას, რის საფარქვეშაც ომის გამჩაღებლები აპირებდნენ განეგრძოთ თავიანთი დანაშაულებრივი საქმე. ამით აიხსნება მათი შეშფოთება და გაავება. პოლიტბიუროს სჯერა, რომ რეპრესიებისა და პოლიციური პროვოკაციის მუქარა, რასაც მთავრობა მიმართავს, დაარწმუნებს სულ უფრო ფართო მასებს, რომ საჭიროა გაერთიანება და მოქმედება მშვიდობის დასაცავად.

პოლიტბიურო, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, ამხილებს მთავრობის ანტირესპუბლიკურ პოზიციას, მთავრობამ დაარღვია კონსტიტუცია და აკრძალა ქალთა დემონსტრაცია 6 მარტს. ამ გადაწყვეტილების პასუხად პარიზისა და მისი გარეუბნების ქალები დემოკრატიულ ორგანიზაციათა მოწოდებით 6 მარტს 15 საათზე წავლენ ბუფალოში, რათა ცხადყონ, რომ ერთგულად ისწრაფვიან ჩაშალონ ომის გამჩაღებელთა გეგმები".

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია მოუწოდებს პარტიის წევრებსა და პარტიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ იხმარონ ყოველი ღონე მომავალი კანტონალური არჩევნების კამპანიის მომზადებისათვის.

პოლიტბიურო თავის რეზოლუციაში რწმენას გამოთქვამს, რომ კანტონალური არჩევნები იქნება დაგმობა საფრანგეთის ახლანდელი მთავრობის და მის დამქაშთა პოლიტიკისა, რაც გაჩანაგებას, სიღატაკესა და ომს იწვევს.

პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ იმ მომენტში, როცა მთავრობა დევნის ფრანტირერთა და გერმანული ოკუპაციის დროის ფრანგ პარტიზანთა მებრძოლ ორგანოს „ფრანს დაბორს", რომელიც საფრანგეთის განთავისუფლების დღიდან განაგრძობს ბრძოლას არმიისა და ერის ერთიანობისათვის, იგი ზრუნავს მოღალატე პეტენის ჯანმრთელობისათვის. პოლიტბიურო თანაუგრძნობს და იწონებს პატრიოტების პოზიციას, რომლებიც არ ეთანხმებიან იმას, რომ პეტენი გაათავისუფლონ, რასაც, როგორც ჩანს, ამზადებენ.

გამოხმაურება კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მშვიდობის დაცვის მანიფესტის გამო

პარიზი, 3 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის სულ ახალ-ახალი დემოკრატიული ორგანიზაციები ეხმაურებიან მშვიდობის დაცვის მანიფესტს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნეს კულტურის მოღვაწეთა ურთიერთობის მშვიდობის დამცველმა საერთაშორისო კომიტეტმა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ. დღეს იუწყებიან, რომ საფრანგეთის კიდევ სამი ეროვნული ორგანიზაცია, რომლებსაც მილიონი წევრი ჰყავთ,—შრომის საყოველთაო კონფედერაცია, საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირი და წინააღმდეგობის მოძრაობის დახვრეტილ და წამებით დახოცილ მონაწილეთა ოჯახების ეროვნული ასოციაცია—შეუერთდა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მომწვევ საინიციატივო ჯგუფს.

ოტო გროტევოლის გამოსვლა მიტინგზე ბერლინში

ბერლინი, 2 მარტი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ოტო გროტევოლმა მშვიდობის დასაცავად სიტყვა წარმოთქვა კეპენიკის (ბერლინის საბჭოთა სექტორი) რაიონის მუშათა დიდ მიტინგზე. მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში გროტევოლმა განაცხადა: „რაც უფრო შემზარავად გაჰკივიან ახალი ომის გამჩაღებლები, მით უფრო გაბედულად გაისმის იმათი გამაფრთხილებელი ხმები, ვისაც მშვიდობა სურს. ყველა ქვეყნის მშრომელთა მასებსა და პროგრესულ ძალებს ომი არა სურთ".

ოტო გროტევოლმა თქვა, რომ მილიონობით ადამიანს გაეღვიძა უდიდესი იმედი, როცა გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა განაცხადა მზადყოფნა — შეხვედროდა პრეზიდენტ ტრუმენს მშვიდობის უზრუნველყოფაზე მოსალაპარაკებლად. მაგრამ ამერიკის პოლიტიკის ხელმძღვანელებმა უარი თქვეს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამშვიდობო პაქტზე, ისევე როგორც მათ უარყვეს საბჭოთა კავშირის წინადადება ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებს არა სურთ მშვიდობა და სიწყნარე. ისინი დაინტერესებული არიან სამხედრო მოგებითა და ნგრევით. ისინი აკოწიწებენ სამხედრო ბლოკებს და აპირებენ საზარბაზნე ხორცად გამოიყენონ დასავლეთი გერმანიის გერმანელები.

ტორეზისა და ტოლიატის, მთელი მსოფლიოს კულტურულ მოღვაწეთა და გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ქალების, ინგლისისა და ნორვეგიის მუშების გამოსვლები,—განაგრძო გროტევოლმა, — განცალკევებული მოვლენები როდია. მათი ხმა არის მრავალი მილიონი უბრალო ადამიანის ხმა.

სიტყვები მშვიდობის სასარგებლოდ და ომის წინააღმდეგ ჩვენთვის, გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ადამიანებისათვის, ისევე მახლობელია, როგორც ბევრი ადამიანისათვის დასავლეთ გერმანიაში. თუ გერმანელ ხალხს, რომელსაც ამძიმებს წარსული დანაშაული, ჯერ კიდევ არ შეუძლია აქტიურად ჩაერიოს საერთაშორისო ხასიათის ახლანდელ დაძაბულ ურთიერთობაში, მეორე მხრივ, არავის არ შეუძლია სადავოდ გახადოს გერმანელი ხალხის უფლება ილაპარაკოს იმ საკითხებზე, რომლებიც მის აწმყოსა და მომავალს ეხებიან. ამიტომ ჩვენ აშკარად და არაორჭოფულად ვაცხადებთ, რომ არავითარი სურვილი არა გვაქვს ვიყოთ საზარბაზნე ხორცი იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობენ. (მქუხარე ტაში). ჩვენ არა გვსურს ვიყოთ საზარბაზნე ხორცი სწორედ იმ იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომლებიც დევნიან ჩვენს ხალხს, ძარცვავენ ჩვენს ქვეყანას, იტაცებენ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს, სურთ წაგვართვან საზავო ხელშეკრულება და საოკუპაციო სტატუტის თავსმოხვევით აპირებენ შეინარჩუნონ გერმანიის უკანონო ოკუპაცია. (ტაში).

შეკრებილ მუშათა ერთსულოვანი მოწონებით ოტო გროტევოლმა შემდეგ განაცხადა:

„თუ ოდესმე წარმოიშვა გერმანიის მიწა-წყალზე ომის დაწყების რეალური საფრთხე, რაც მე არა მჯერა, დაე იმპერიალისტმა აგრესორებმა უკვე ახლა იცოდნენ, რომ ჩვენ, მშვიდობისმოყვარე გერმანელები, ყოველივეს გავაკეთებთ, რათა არც ერთი გერმანელის ხელი არ მიეკაროს ამ დამღუპველი და დანაშაულებრივი გეგმების შესრულებას. გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მცხოვრებთა სახელით ჩვენ უკვე ახლა სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ წინააღმდეგი ვართ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებისა და ომი არა გვსურს. (მქუხარე ტაში).

დაე იცოდნენ საბჭოთა კავშირმა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, რომ გერმანიის სახალხო საბჭოში გაერთიანებული პარტიები და დემოკრატიული ორგანიზაციები ერთსულოვანი არიან იმაში, რომ არც ერთი გერმანელის ხელი არ უნდა აღიმართოს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს მძიმე დროს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელ ხალხს დიდი ბრალი მიუძღვის მათ წინაშე. გერმანელ ხალხსა და საბჭოთა კავშირს ბუნებრივი ეკონომიური და სხვა წანამძღვრები აქვთ კეთილმეზობლური და მეგობრული თანამშრომლობისათვის. სამხედრო პროპაგანდის გაღვივების ამ მომენტში ჩვენ ვაცხადებთ ლოზუნგს: „ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან" (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გერმანელ მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი მშვიდობის დასაცავად შედგა აგრეთვე დიუსელდორფში. ამ მიტინგზე გამოსულმა დასავლეთი გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა განაცხადა:

„ჩვენ გერმანელ ხალხს მშვიდობის ისეთ ნებისყოფას გავუღვიძებთ, რომ ამ ნებისყოფაზე დაიმსხვრევა ომის გამჩაღებელთა ყველა ღონისძიება".

„მე პროტესტს ვაცხადებ,—თქვა რაიმანმა, — დასავლეთი ევროპის სამხედრო ბლოკში დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს შეყვანის წინააღმდეგ, რადგან ეს ომს ნიშნავს". რაიმანმა მოწოდებით მიმართა გერმანელ ახალგაზრდობას, რომ მან ამერიკელ იმპერიალისტებს თავი არ გამოაყენებინოს საზარბაზნე ხორცად.

რაიმანის გამოსვლას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მიტინგის დამსწრე დიუსელდორფის მშრომელებმა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადება

ბერლინი, 3 მარტი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობის პოლიტბიურო მიესალმება ტორეზის, ტოლიატისა და პოლიტის განცხადებებს, რომლებიც მათ ფრანგი, იტალიელი და ინგლისელი ხალხების სახელით გააკეთეს".

„გერმანელი ხალხი,—აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, — გრძნობს, რომ მჭიდროდ დაკავშირებულია ყველა იმ ხალხთან, რომლებიც ებრძვიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო პროპაგანდას და არ სურთ ახალი ომი...

საბჭოთა კავშირი აგრესორი კი არ არის, არამედ ყველაზე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში. ამიტომ პოლიტბიურო მოუწოდებს გერმანიის ხალხს მთელი სიმტკიცით ებრძოლოს დასავლეთ სახელმწიფოების სამხედრო პროპაგანდასა და სამხედრო მზადებას, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აგრესიის შემთხვევაში გერმანელმა ხალხმა უნდა იბრძოლოს აგრესორების წინააღმდეგ და მხარი დაუჭიროს საბჭოთა არმიას მშვიდობისათვის ბრძოლაში". განცხადებას ხელს აწერენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეები ვილჰელმ პიკი, ოტო გროტევოლი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა ამხ. **ა. ი. ვიშინსკი.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ა. ი. მიქოიანი** საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან და საგარეო ვაჭრობის მინისტრად დანიშნა ამხ. **მ. ა. მენშიკოვი.**

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. **ა. ა. გრომიკო** დანიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი.

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის—6-III დღისით „ბახჩისარაის შადრევანი", საღამოს „შოთა რუსთაველი" (8 აბ. 9 წარმ.);

რუსთაველის სახელობის — 6-III დღისით „არსენა", საღამოს „სამშობლო" (18 აბ. 6 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის — 6-III დღისით „ნინოშვილის გურია", საღამოს „ნინოშვილის გურია" (7 აბ. 6 წარმ.);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — დღისით „მზის დაბნელება", საღამოს—„ხილვა" (5 აბ. 7 წარმ.).

მე-5 შესატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

მოქალაქე **ნინო გიორგის ასულმა კალანდარაშვილმა,** მცხოვრებმა ქობულეთის ქ. № 17, აღძრა საქმე ქობულეთის ქ. № 21 მცხოვრებ მოქალაქე **როსტომ ნიკოლოზის-ძე ბარათაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის რკინიგზის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის ადმინისტრაცია, პედკოლექტივი და მოსწავლეები იუწყებიან მასწავლებელ **ვლადიმერ გრიგოლის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-III, 3 ს. საბჭოს, 130.

მშობლები ეთერი და ლადო, და მანონი, მამიდა მაყვალა სხირტლაძეები, ბიძა შოთა ქართველიშვილი, ბაბულია და რაჟდენ დაუშვილები, ვარა და უშანგი პეტრიაშვილები იუწყებიან პატარა **ლალის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-III, 4 ს. გუბის, 23 (ლენრაიონი).

მეუღლე მარო, შვილები დარიკო, თამარ, ნატა, გალინა, ქსენია, მიშა, დათიკო ხახოკიები და მათი ოჯახები, გოგუცა, სერგო, ბორის და ჯიმშერ წოწონავები იუწყებიან **იმედია მიხეილის-ძე ხახოკიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ნოსირში (ცხაკაიას რაიონი).

შვილები ვერა, ალექსანდრე, შალვა, დოდო, დავით, რძლები ეენია, ლუბა შვილებით, სიძე ბენედიქტე ჯმუხაძე იუწყებიან **გრიგოლ პეტრეს-ძე კენჭაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-III, 7 ს. გამოსვენება 8-III, 5 ს. ჩაისუბნის, 8 (ყოფ. ცამაკურიძის).

ცეკავშირის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ა. კენჭაძეს მისი მამის **გრიგოლ კენჭაძის** გარდაცვალების გამო.

ცეკავშირის სამრეწველო და საპროდუქტო ბაზების კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ა. კენჭაძეს მისი მამის **გრიგოლ პეტრეს-ძე კენჭაძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ალექსანდრე, შვილები მერი და ლეილა, მაზლი ლადო ნემსაძეები, მული ოლია, დედა მელანო, ძმები შალვა, კოლია, აკაკი ოდელაშვილები, დები მარო, ოლია, ელისაბედ, ცუცა იუწყებიან **ლიდა პავლეს ასულ ოდელაშვილი-ნემსაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-III, 7½ ს. გამოსვენება 10-III, 6 ს. ნინოშვილის, 47.

მერი იანქოშვილი, ნათელა კეშელავა, ნელი ამაშუკელი, ციალა თოფურიძე, ოთარ ჯინორია, ნიკო ყიასაშვილი, მოსე ქარჩავა, დავით ჩაილეიშვილი, ზურაბ ჭარხალაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კაკაბაძეს მისი დედის **ნინო კაკაბაძის** გარდაცვალების გამო.

ა. მირცხულავა, გ. ცეცხლაძე, ს. ჯეირანაშვილი, ი. ზარდიაშვილი, შ. კობალაძე, თ. გაბათაშვილი, ე. ინდაშვილი, პ. ქარჩილაძე, ბ. გვანცელაძე, ე. წულეისკირი, ე. ელისაბედაშვილი, ლ. კრიჟანოვსკაია, მ. ჯაში, ა. ყაზიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ბ. კეშელავას მისი მამის **კონსტანტინეს** გარდაცვალების გამო.

თბილისის ორჯონიკიძის რაიფინგანის თანამშრომლები: ს. პაპავა, გ. როსტიაშვილი, გ. ბასიშვილი, ვ. იავრიანი, ლ. ჯაფარიძე, ქ. გაფრინდაშვილი, ვ. ჯიბლაძე, ვ. ცქიტარია, ლ. ნიქაბაძე, ნ. ტატიშვილი, ი. ბეჟუაშვილი, ე. შეკლაშვილი, ფ. ანანიაშვილი, ბ. ყუფარაძე თანაგრძნობას უცხადებენ ვ. კვანტალიანს მისი დედის **ოლღა კვანტალიანის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო, შვილები ვერა და ლუბა ოჯახებით, შუშანა და ეთერ ჩიჩელაშვილები იუწყებიან მასწავლებელ **ვლადიმერ გრიგოლის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-III, 3 ს. საბჭოს, 130.

მოლოტოვის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ლილუაშვილ-კანდელაკს მისი მეუღლის **ვლადიმერ გრიგოლის-ძე კანდელაკის** გარდაცვალების გამო.

ძმა ვასო მთაწმინდელი, რძალი ქეთევან, ძმისწულები ლალი, ლიანა, ვასო იუწყებიან **ალექსანდრეს** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. დავითაშვილის, 17.

თბილისის ქალთა პირველი საშუალო სკოლის მასწავლებლები იუწყებიან ქ. ვადაჭკორიას ძმის **იპოლიტე ხილიბისტროს-ძე ვადაჭკორიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III მახარაძეში.

მეუღლე ვერა, შვილები ვაჩესლავ და ბონდო, რძლები გუგული და ნუცა შვილებით იუწყებიან **კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე კეშელავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III ცხაკაიაში.

ძმა პროკოფი, ნორა, სონია, ვალია ჯულელები იუწყებიან **ნინო მოსეს ასულ ჯულელი-კაკაბაძის** გარდაცვალებას.

თბილისის საავიაციო ტექნიკუმის კოლექტივი იუწყება მ. კაკაბაძის მეუღლის **ნინო მოსეს ასულ კაკაბაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-III, 1½ ს. ძერჟინსკის, 5.

გზატკეცილების უბნის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. მეცხრიკაძეს მისი დის **მარიამ ივანეს ასულ მაისურაძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვიქტორ, შვილები მედეა, გიორგი და ვახტანგ მეტრეველები, რძალი თამარ და ჯემალ იუწყებიან **ოლია მათეს ასულ ბელიძე-მეტრეველის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-III, 3 ს. კურგანის, 16 (ლენრაიონი).

ძმები მიხეილ და აპოლონ, რძალი ელენე კეშელავები შვილებით, ალექსანდრა ხოჭოლავა შვილებით კლარა, გიორგი და ნუცა იუწყებიან **კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე კეშელავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III ქ. ცხაკაიაში, გოგებაშვილის, 13.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ბ. კეშელავას მისი მამის **კონსტანტინეს** გარდაცვალების გამო.

დედა აღათი, ძმა გრიგოლ, ბიძაშვილები მარო, ნადია, ტატიანა და შოთა თაკვარელები იუწყებიან **ქსენია მიხეილის ასულ თაკვარელიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-III, 4 ს. ევდოშვილის, 2.

თბილისის სტალინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ლილუაშვილ-კანდელაკს მისი მეუღლის **ვლადიმერ კანდელაკის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ელისაბედ, ძმა დიმიტრი, რძალი სონია შვილებით აკაკით და თამარით იუწყებიან **იოსებ მიხეილის-ძე კალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-III, 8 ს. გამოსვენება 8-III, 5 ს. გომბორის, 20.

ნელი, ქეთევან, ოლია, ქეთო, გიორგი და გივი გაჩეჩილაძეები, სიმონ, მიხეილ და გიორგი აბესაძეები, ბიძინა, ელისო და ელენე ბჟოლაძეები, ელიზბარ და ბიძინა ლომშიშვილები იუწყებიან ბიძის **ევგენი ალფეზის-ძე გაჩეჩილაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მიღებისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობისა —3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 00723